3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

1.პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, კერძოდ დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედი გეგმის მონიტორინგის და ანგარიშის წესი“ (დამტ 19.02.2025 ბრძანება N 02/13 (დანართი 2) სადაც გაწერილია მისია ხედვა ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული და პასუხსმგებელი პირები, მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე თუ რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვისას ეყრდნობა SWOT მეთოდოლოგიას. აღნიშნული პროცესების წარმართვის მიზნით, დაწესებულების დირექტორი ბრძანების საფუძველზე ქმნის სამუშაო ჯგუფს. აღნიშნული პროცესის პრაქტიკაში განხორციელების დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 19 თებერვლის ბრძანება N 02/12 ა „ სსიპ კოლეჯ თეთნულდის მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“. **დაწესებულების წარმოამდგენელმა ინტერვიუირებისას განმარტა რომ ამ ბრძანებით განისაზღვრა 2025 წლის სამოქმედი გეგმის შემმუშავებელი ჯგუფი. (დანართი 3)** აღნიშნული ბრძანების მიხედვით სამუშაო ჯგუფში შედიოდა: დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფ. ორიენტაციისა და კარიერული დაგგმვის მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის თანახმად (დამტ 19.02.2025 N02/13) კი სამუშაო ჯგუფში აუცილებლად უნდა შედიოდეს: კოლეჯის დორექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კორდინატორი, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯრი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და სხვა შესაძლო პასუხისმგებელი პირები. ვინაიდან სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება ნუმერაციითი წინ უსწრებდა ახალი მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების ბრძანებას, (თუმცა ორივე ერთ დღეს იყო დამტკიცებული) ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2025 წლის 19 თებერვლამდე მოქმედი რეგულაცია (იხ დანართი 4). აღნიშნული რეგულაციით სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილ ჯგუფში აუცილებელ წევრებად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განისაზღვრებოდა: დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფ. ორიენტაციისა და კარიერული დაგგმვის მენეჯერი, მატერიალური რესურსების კორდინატორი, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯრი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალსიტი . აღნიშნული პოზიციის მქონე პირები დაწესებულებაში დასაქმებული არიან და მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შესაბამისად დასტურდება, რომ დაწესებულებაში არსებული პრაქტიკა არ არის შესაბამისობაში დაწესებულებაში 2025 წლის 19 თებერვლამდე მოქმედ და არც ახლად დამტკიცებულ მარეგულირებელ დოკუმენტებთან.

გარდა ამისა დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანება რომელიც ასევე თარიღდება 2025 წლის 19 თებერვლით, ბრძანება N 02/13. (დანართი 2) მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი ჯგუფის მუშაობის ამსახველ დოკუმენტად კი დაწესებულებამ მხოლოდ ფოტო მასალა წარმადგინა. **წარმოდგენილი ფოტო მასალა ექსპერტთა ჯგუფმა არარელევანტურად მიიჩნია, ვინაიდან შეუძლებელია დადგინდეს თუ რომელ დღეს არის გადაღებული აღნიშნული ფოტო მასალა და რა შეხვედრას ასახავს. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია სამუშაო ჯგუფის შექმნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სამოქმედო ჯგუფის მუშაობის ამსახველი ვალიდური მტკიცებულებების შეგროვება/შენახვა.**

როგორც უკვე აღინიშნა, 2025 წლის სამოქმედო გეგმა დმტკიცებულია 2025 წლის 19 თებერვალს, ხოლო გეგმაში შესასრულებელი აქტივობები მოიცავს იანვრიდან -დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (იხ დანართი 6) რაც დადასტურდა დაწესებულების წამომადგენელთან ინტერვიუირებითაც. **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმის შემუშავებისას შესასრულებელი ამოცანები და აქტივობები გაიწეროს სამოქმედო გეგმის დამტკიცების პერიოდიდან.**

აღსანიშნავია, რომ არც " მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედი გეგმის მონიტორინგის და ანგარიშის წესში" და არც სამუშაოა ჯგუფის შექმნის ბრძანებაში არ არის განსაზღვრული თუ რა ვადა ეძლევა ჯგუფს მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს მარეგულირებლ დოკუმენეტში ან/და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფის ბრძანებაში სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის მიცემული დავალების შესრულებისთვის ვადის და ფუნქციების განსაზღვრა.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2020-2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა. დაწესებულებაში იმ პერიოდში მოქმედი რეგულაციის თანახმად (იხ დანართი 4) სტარტეგიული გეგმის პროექტის შემუშავება ხდება გუნდურად და მასში ჩართული არიან დაწესებულების წარმომადგენლები. სტრატეგიული გეგმის შემუშვების შემთხვევაშიც დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით დაწესებულებაში სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებასა და ა(აიპ) კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 15 07.05.2020 (დანართი 5) ხელშეკრულების ფარგლებში აღნიშნულმა ორგანიზაციამ დაწესებულებისთვის შეიმუშავა გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა. შესაბამისად დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედი პრაქტიკა არ არის შესაბამისობაში დაწესებულებაში დამტკიცებულ რეგულაციასთან.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად 2025 წლის 19 აგვისტოს წერილი N1000820. გამოგზავნილია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადები, შესაბამისობის ტიპი და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები პასუხისმგებელი და შემსრილებელი პირები, სხვა ჩართული მხარეები , შესრულების ინდიკატორები. გეგმის მიხედვით დაწესწბულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ნაწილობრივი შესაბამისი და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს 15 თვე. (01.11.2026) აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს ადამიანური რესურსების გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაწესებულებას მიეცა შეზაბამისობის რეკომენდაცია უზრუნველყოს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ვადების დაცვით ადამიანური რესურსების გაძლიერება და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლება რათა რეგულაციით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს

ინდიკატორი 1.2.1.1. ნაწილობრივ შეესაბამება

2.სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, კერძოდ დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმა. (დამტ 20.06.2020 N 02/23). დაწესებულებაში წარმოადგინა ხედვის,ღირებულების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი (დამტ 29.12 2018 N 02/68). რომელიც მოქმედი იყო 2020-2026 წწ სტარტეგიული გეგმის შემუშავების დროს. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას შექმნილ სამუშაო ჯგუფში აუცილებელ წევრებად განისაზღვრებოდა: კოლეჯის დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კორდინატორი, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სხვა შესაძლო პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებამ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში არ შექმნა სამუშაო ჯგუფი როგორც ეს მარეგულირებელი დოკუმენტით იყო გათვალისწინებული და არც დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყო. დაწესებულებასა და ა(აიპ) კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 15 07.05.2020. ხელშეკრულების ფარგლებში აღნიშნულმა ორგანიზაციამ დაწესებულებისთვის შეიმუშავა გრძელვადიანი 2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმა. შესაბამისად, დგინდება რომ დაწესებულებაში მოქმედი პრაქტიკა არ არის შესაბამისობაში არც დაწესებულებაში შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტთან და არც სტანდატის მოთხოვნებთან.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წერილი N. გამოგზავნილია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადები, შესაბამისობის ტიპი და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები პასუხისმგებელი და შემსრილებელი პირები, სხვა ჩართული მხარეები , შესრულების ინდიკატორები. გეგმის მიხედვით დაწესწბულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ნაწილობრივი შესაბამისი და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს 15 თვე. (01.11.2026) აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს ადამიანური რესურსების გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით უზრუნველყოს ადამიანური რესურსების გაძლიერება და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლება რათა რეგულაციით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს

ინდიკატორი 1.2.1.2 ნაწილობრივ შეესაბამება

3.დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დაწესებულების მიერ შემუშავებული 2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმა ანალიტიკური ტიპის დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების, განხორციელების ვადების, შესრულების ინდიკატორების შესახებ. თითოეულ სტრატეგიულ მიზანს გააჩნია თავისი ამოცანები, შესრულების ვადები, ინდიკატორები. დაწესებულება ასევე ყოველწლიურად შეიმუშავებს ერთ წლიან სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმა გაწერილია კალენდარულ წელზე. 2025 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტარტეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები, ამოცანის მიღწევისთვის საჭირო აქტივობები, აქტივობების შესრულების ვადები და შესრულების ინდიკატორები. სამოქმედო გეგმაში არ არის დაკონკრეტებული ინფორმაცია აქტივობის შესრულებისთვის საჭირო რესურსების შესახებ. წარმოდგენილია ზოგადი ჩანაწერი „ ადამიანური და ფინასნური რესურსი“. შესაბამისად ვერ დგინდება თუ რა ფინასნური რესურსი არის საჭირო სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესასრულებლად და რომელი სტრუქტურული ერთეული/პირი არის პასუხსმგებელი ამა თუ იმ აქტივობის შესრულებაზე, რაც თავის მხრივ ასევე ართულებს შემდგომში სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესს.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წერილი N. გამოგზავნილია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადები, შესაბამისობის ტიპი და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები პასუხისმგებელი და შემსრილებელი პირები, სხვა ჩართული მხარეები , შესრულების ინდიკატორები. გეგმის მიხედვით დაწესებულებას სტანდარტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც მეტწილი შესაბამისი და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად აღებული აქვს ორი თვე (01.10.2025) აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს სამოქმედო გეგმაში ადამიანური და ფინანსური რესურსების ასახვას.

ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- https://tetnuldi.edu.ge/
- დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 19 თებერვლის ბრძანება N 02/12 ა სსიპ კოლეჯ თეთნულდის მისია ხედვა ღირებულებების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზნით შექმნილი სამუშო ჯგუფის შექმნის თაობაზე
- დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 19 თებერვლის ბრძანება N 02/13 მისიის ხედვის და ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების განხილვის დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმსი მონიტორინგისა და ანგარიშების წესი
- დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივნისის ბრძანება N 02/23 სსიპ კოლეჯ თეთნულდის 2020-2026 წწ სტარტეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ;
- დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N 02/68 სსიპ კოლეჯ თეთნულდის მისიის, ხედვა და ღირებულებების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების განხილვის დამტკიცების და მათში ცვლილებეის შეტანის გაზიარების სტტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორნიგისა და ანგარიშგების წესი;
- 2025 წლის სამოქმედო გეგმა
- დაწესებულიების 2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმა
- ინტერვიუს შედეგები

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

1.პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; კერძოდ დაწესებულებაში მოქმედი „მისიის ხედვის და ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების განხილვის დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშების წესის“ თანახმად, კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველწლიურად სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მონიტორინგისა და შეფასების შედეგად დამდგარი გარემოებების შესაბამისად, კოლეჯის ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. დაგეგმილი აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები 6 თვეში ერთხელ წარადგენენ შუალედურ ანგარიშების, რომლის შესაბამისად შეიძლება დაიგეგმოს და/ან მყისიერად განხორციელდეს საჭირო ცვლილებები არსებითი ზიანის დადგომამდე. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე დაკვირვების და მონიტორინგის შედეგად შეგროვებული მონაცემების გაანალიზება ხდება წლის ბოლოს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, რომელიც თავის მხრივ აფასებს დაგეგმილი ამოცანების შესრულების ხარისხს, ახდენს სრულად ან ნაწილობრივ განხორციელებული თუ განუხორციელებელ აქტივობების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების და გასცემს გაუმჯობესების რეკომენდაციებს. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს კოლეჯის დირექტორი. რადგანაც დაწესებულებამ აღნიშნული წესი შეიმუშავა 2025 წლის თებერვალში, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა 2018 წელს დამტკიცებული მექანიზმი რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო დაწესებულებაში 2024 წლის სამოქმედო გეგმის და ასევე 2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმის ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნული წესის მიხედვით სამოქმედო გეგმის შემთხვევაში, მონიტორინგის პროცესი ეფუძნება თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან კვარტლური ანგარიშების წარდგენას, ხოლო სრატეგიული გეგმის შემთხვევაში წლიურ ანგარიშებს. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2021 წლის 2 აპრილის ბრძანება N 02/04 ა, „ სსიპ კოლეჯ თეთნულდის“ 2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის და შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ“. რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შეფასება. 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ დაწესებულების დირექტორის მოადგილის მიერ წარდგენილი ანგარიშები. ინტერვიუირებისას დაწესებულების წარმოადგენელმა აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ არ მომზადებულა შესაბამისი ანგარიშები .მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე არის ატვირთული. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა 2024 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულების ანგარიშები. რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა 2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმის შეფასების და მონიტორინგის განხორციელების მტკიცებულებები. შესაბამისად დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედი პრაქტიკა არ შეესაბამება არც დაწესებულებაში შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტს და არც სტანდარტის მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წერილი N. გამოგზავნილია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადები, შესაბამისობის ტიპი და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები პასუხისმგებელი და შემსრილებელი პირები, სხვა ჩართული მხარეები , შესრულების ინდიკატორები. გეგმის მიხედვით დაწესწბულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ნაწილობრივი შესაბამისი და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს 15 თვე. (01.11.2026) აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს ადამიანური რესურსების გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაწესებულებას მიეცა შეზაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით უზრუნველყოს ადამიანური რესურსების გაძლიერება და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლება რათა რეგულაციით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს

ინდიკატორი 1.2.2.1 ნაწილობრივ შეესაბამება

2.ჰსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, კერძოდ დაწესებულებს ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებულია აქვს 2018 წლიდან 2024 წლის ჩათვლით სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, სადაც თითოეულ აქტივობასთან მიმართებაში გაწერილია პროცენტული მაჩვენებელი თუ როგორ შესრულდა ესა თუ ის აქტივობა. თუმცა ექსპერტთა ჯგუფისთვის არ იქნა წარდგენილი მტკიცებულებები რაზე დაყრდნობით მოხდა აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლების დადგენა. დაწესებულებამ 2024 წლის სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში წარმოადგინა მხოლოდ დაწესებულების დირექტორის მოადგილის ანგარიშები. ანგარიშები თარიღდება 2024 წლის 25 დეკემბრით. მაშინ როდესაც მოქმედი რეგულაციით ანგარიშების წარდგენა უნდა მომხდარიყო კვარტლურად. ინტერვიუირებისას დაწესებულების წარმოამდგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის შეუსრულებელი აქტივობები გადააქვთ მოდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2024 და 2025 წლების სამოქმედო გეგმები. აღნიშნული გეგმების შესწავლით დასტურება , რომ დაწესებულებას მართლაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გადააქვს შეუსრულებელი აქტივობები მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში **წარმოადგენს მშრალ ინფორმაციას დაგეგმილი ამოცანების შესრულება, ნაწილობრივ შესრულება ან არ შესრულებასთან დაკავშირებით. ანგარიშს არ ახლავს ანალიზი შესრულების ეფექტურობა-არაეფექტურობის შესახებ. არ მოიცავს სრულ ინფორმაცია/ანალიზს დაწესებულების მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.**

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის რელევანტური შეფასება, თითოეულ შეუსრულებელ ან/და ნაწილობრივად შესრულებულ ამოცანასთან დაკავშირებით.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წერილი N. გამოგზავნილია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადები, შესაბამისობის ტიპი და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები პასუხისმგებელი და შემსრილებელი პირები, სხვა ჩართული მხარეები , შესრულების ინდიკატორები. გეგმის მიხედვით დაწესწბულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ნაწილობრივი შესაბამისი და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს 15 თვე. (01.11.2026) აღნიშნულ ვადაში დაწესებულება გეგმავს ადამიანური რესურსების გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაწესებულებას მიეცა შეზაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების დაცვით უზრუნველყოს ადამიანური რესურსების გაძლიერება და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლება რათა რეგულაციით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს

ინდიკატორი 1.2.2.2 ნაწილობრივ შეესაბამება

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია, კერძოდ დაწესებულებას სამოქმედი გეგმის შესრულების ანგარიშები განთავსებულია აქვს დაწესებულების ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების დირეტორის 2021 წლის 2 აპრილის ბრძანება N 02/04 ა სსიპ კოლეჯ „თეთნულდის“ 2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ;
- https://tetnuldi.edu.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 19 თებერვლის ბრძანება N 02/12 ა სსიპ კოლეჯ თეთნულდის მისია ხედვა ღირებულებების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზნით შექმნილი სამუშო ჯგუფის შექმნის თაობაზე
- დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 19 თებერვლის ბრძანება N 02/13 მისიის ხედვის და ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების განხილვის დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმსი მონიტორინგისა და ანგარიშების წესი
- დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივნისის ბრძანება N 02/23 სსიპ კოლეჯ თეთნულდის 2020-2026 წწ სტარტეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ;
- დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N 02/68 სსიპ კოლეჯ თეთნულდის მისიის, ხედვა და ღირებულებების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების განხილვის დამტკიცების და მათში ცვლილებეის შეტანის გაზიარების სტტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორნიგისა და ანგარიშგების წესი;
- 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
- 2025 წლის სამოქმედო გეგმა
- დაწესებულიების 2020-2026 წწ სტრატეგიული გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, დაწესებულებას პროფესიული სტუდენტების უფლებების და გარანტიების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ. დირექტორის 2025 წლის 5 ივნისი N 02/57) და შინაგანაწესი (დამტ. 2025 წლის 3 ივნისი ბრძანება N 02/55). დაწესებულებაში მოქმედ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია: **პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები, რომლის შინაარსიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალურ ვადად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 5 წელი, ასევე სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად გაწერილია სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი 5 წლიანი ვადის გასვლა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის დროს, როგორც სრულწლოვანი, ასევე არაასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში წარმოდგენილია დაწესებულების სასწავლო პროცესის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მარეგულირებელი წესით და შინაგანაწესით განსაზღვრული დოკუმენტაცია, ასევე სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში წარმოდგენილია სტუდენტთა პირადი განცხადებები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლი არეგულირებს მობილობის მექანიზმს რომლებიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის ბრძანება N 135/ნ თან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გადამოწმება ვერ განხორციელდა, რადგანაც დაწესებულებაში არ ფიქსირდება მობილობის შემთხვევა.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლები17-23 არეგულირებს ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმს. აღნიშნული მექანიზმი შესაბამისობაშია **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N 121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან.“** აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გადამოწმება ვერ განხორციელდა, რადგანაც დაწესებულებაში არ ფიქსირდება ფორმალური განათლების აღიარების შემთხვევა.

სასწავლო პროცესის წესი ასევე არეგულირებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების მიდგომებს და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასების წესს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ კოლეჯ თეთნულდში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი (მე-3 და მე-4 დონე) (დამტ დირექტორის 2024 წლის 6 მაისის N 02/26) . ჩარიცხვის წესში განსაზღვრული მუხლები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებიდან გამოთხოვილი იქნა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მტკიცებულებები. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება სსიპ კოლეჯ თეთნულდის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024 წლის შემოდგომის მიღებაზე შესარჩევი მოტივაციური გასაუბრების კომისიის შექმნის და აპლიკანტთა გასაუბრების გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ (დამტ 2024 წლის 2 ოქტომბერი n 02/48-1) და სსიპ კოლეჯ თეთნულდის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2024 წ საშემოდგომო მიღებაზე აპლიკანტთა შესარჩევი გასაუბრების ოქმი N 3 (07.10.2024) . აღნიშნული მტკიცებულებების შესწავლით დადგინდა, რომ **დაწესებულებაში მიმდინარე პრაქტიკა შეესაბამება დაწესებულების შიდა რეგულაციებს.** დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი აქვს პროგრამის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების მექანიზმი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურების წესი. **აღნიშნულ წესში გაწერილია, რომ „პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია კომპლექსური დავალების შეფასებიდან დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადაში, პორტფოლიოში ასახოს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები“. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ წესში არ არის დაკონკრეტებული მასწავლებლის მიერ მტკიცებულებების პორტფოლიოში ასახვის ვადა. დაწესებულებამ არ/ვერ წარმოადგინა სხვა წესი/ბრძანება სადაც აღნიშნული ვადა იქნებოდა დაკონკრეტებული. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განსაზღვროს თუ რა ვადაში უნდა მოხდეს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებების განთავსება სტუდენტის პორტფოლიოში.**

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, კერძოდ,** ავტორიზაციის ექსპერტები გაეცნენ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს, მათ შორის არასრულწლოვნ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებასაც, სადაც მკაფიოდა გაწერილი მათი უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები.სწავლის დაწყებისთანავე ადმინისტრაცია აცნობს პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის მარეგულირებ წესს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს. აღსანიშნავია, რომ პროფესიული სტუდენტების უფლებებთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დოკუმენტი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე და ასევე გამოკრულია დაწესებულებაში საინფორმაციო დაფაზე. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუების (ინტერვიუ სტუდენტებთან ჩატარდა შერჩევითი პრინციპით) შედეგად დაზუსტდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას მათი უფლებებისა და კანონების დაცვის მექანიზმების შესახებ. პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მათ ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც ადმინისტრაციის წარმომადგენლები თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინეს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება ზემოთხსენებულ საკითხებზე.

ინდიკატორი 3.1.1.2 შეესაბამება

3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, კერძოდ: დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები. რეგულაციის თანახმად მოდულის განმახორციელებელი პირი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემის მექანიზმებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გადამოწმება ვერ განხორციელდა, რადგანაც დაწესებულებაში არ ფიქსირდება შეფასების შედეგების გასაჩვრების ფაქტი. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის და იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.1.1.3 შეესაბამება

4.პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, კერძოდ: ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებს. ხელშეკრულებებში გაწერილია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება -მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი, გაწერილია პერსონალურ მონაცემთა მოპოვების და დაცვის მექანიზმები. დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა და არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში, მათი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ინდიკატორი 3.1.1.4 შეესაბამება

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,** კერძოდ: დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებლ წესში“ გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები, მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობას, მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტრესების გათვალისწინებით. გაწერილია პროცესში ჩართული პირები -მათ შორის პროფესიული სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მექანიმზის მოქმედება პრაქტიკაში ვერ შეფასდა, რადგანაც დაწესებულებას არ ჰქონია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება.

3.1.1.4 ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი დამტ. 2025 წლის 3 ივნისი ბრძანება N 02/55)
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულება (როგორც სრულწლოვანი ასევე არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში)
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე
- ბრძნებები პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტ დირექტორის 2025 წლის 5 ივნისი N 02/57)
- სსიპ კოლეჯ თეთნულდში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი (მე-3 და მე-4 დონე) (დამტ დირექტორის 2024 წლის 6 მაისის N 02/26)
- სსიპ კოლეჯ თეთნულდის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024 წლის შემოდგომის მიღებაზე შესარჩევი მოტივაციური გასაუბრების კომისიის შექმნის და აპლიკანტთა გასაუბრების გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ (დამტ 2024 წლის 2 ოქტომბერი N 02/48-1).
- სსიპ კოლეჯ თეთნულდის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2024 წ საშემოდგომო მიღებაზე აპლიკანტთა შესარჩევი გასაუბრების ოქმი N 3 (07.10.2024)
- ინტერვიუირება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

1..პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, კერძოდ დაწესებულებაში აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად პროფესიული სტუდენტისათვის კონსულტაციებისა და მხარდაჭერის გაწევა ევალებათ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროგრამის ხელმძღვანელს. აღნიშნულის შესახებ დაწესებულებას გაწერილი აქვს „ სსიპ კოლეჯ თეთნულდის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმებში „ (დამტ 17.02.2025 N 02-10). პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძებების პრაქტიკული განხორციელდება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული საგანმანატლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუირებით. სტუდენტები ადასტურებენ, რომ პროფესიული მასწავლებლისგან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან სისტემატიურად ხორციელდება მათ საჭიროებებზე მორგებული საკონსულტაციო და მხარდამჭერი აქტივობები მათი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ასევე დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდანაც.

3.2.1.2 ინდიკატორი შეესაბამება

2.**პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ** დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსააკუთრებით კი სწავლების დაწყების საწყის ეტაპზე ასევე ნებისმიერ ეტაპზე როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება. აღნიშნული გაწერილია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერ მექანიზმებში“.(დამტ. 17.02.2025 N 02-10).პროფესიული სტუდენტის საწავლო გარემოსთან ადპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი და სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი. მიღებული პროფესიული სტუდენტთა ყველა ნაკადის პირველ სასწავლო დღეს ტარდება საინფორმაციო შეხვედრა სადაც მონაწილოებენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პროფესიულ სტუდენტებს აწვდიან მათთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საჭირო ინფორმაციას. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებით დადასტურდა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში მოქმედება.

ინდიკატორი 3.2.1.2 შეესაბამება

3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; კერძოდ პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გულისხმობს პროფესიული სტუდენტების საჭიროებაზე სწრაფ რეაგირებასა და შესაბამისი დოკუმენტაციის ოპერატიულ მომზდებას/მიწოდებას. პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (სერთიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა და გარე მობილობის ხელშეწყობა, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა) ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა მომართვიდან გონივრულ ვადაში. ხოლო ცნობის გაცემა მომართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მიმართვის შემთხვევაში ადმინისტრაციული პერსონალს მხრიდან იმავე ან/და მომდევნო სამუშოა დღეს ხორციელდებოდა ინფორმაციის მიწოდება ან სხვა მოთხოვნილი სერვისით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადმინისტრაციულ სერვისებს აფასებენ დადებითად.

ინდოკატორი 3.2.1.3 შეესაბამება

4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, კერძოდ დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმების წესი რომელშიც გაწერილია დამატებითი არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. დაწესებულება წლიური ხარჯის დაგეგმვისას ითვალისწინებს სტუდენტურ ინიციატივებს მხარდაჭერას. დაწესებულება საკუთარი ინიციატივითაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა არაფორმალური აქტივობების დაგეგმვა განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენჯერი პროფესიულ სტუდენტთა შეხვედრის ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები სტუდენტების ვიზიტიდან Erasmus + youth exchang. ფარგლებში. ასევე, აღსანიშნავია რომ სამკერვალო წარმოების პროფესიული პროგრამის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კონკურსში „მოდის ინდუსტრიაში.“ დაწესებულებაში არაფორმალური აქტივობების ჩატარება დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებითაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია 3.2.1.4 შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. დაწესებულების ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან გასაუბრებისა შედეგად დასტურდება რომ პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესა და დააკმაყოფილა სტუდენტთა მომსახურების პირობები, უზრუნველყო საჭიროების მქონე სტუდენტები საცხოვრებელი პირობებით და ყოველთვის მზადაა სტუდენტთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.2.1.4.5 შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები დამტ. 17.02.2025 N 02/10
- სსიპ კოლეჯ თეთნულდის 2025 წლის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიში;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დგეგმვის მენჯერის 2024 წლის წლიური ანგარიში;
- სსიპ კოლეჯ თეთნულდის პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები დამტ 17.02.2025 N02/10
- ინტერვიუირება
- ფოტო მასალა

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის; კერძოდ დაწესებულებაში მოქმედებს სსიპ კოლეჯ თეთნულდის პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები (დამტ 17.02.2025 N02/1) რომლის საფუძველზე კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური სტუდენტისთვის, ეს იქნება კონსულტირება, სტაჟირება, დასაქმების ხელშეწყობა და ა.შ პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი ყოველი მიღების ფარგლებში უტარებს პროფესიულ სტუდენტებს ტრეინინგებს რეზიუმის შედგენასთან დაკავშირებით. ასევე ჩატარებული აქვთ ტრეინინგი „ეფექტური კომუნიკაციის კომპეტენციების როლი პროფესიულ ორიენტაციასა და კარერის დაგეგმვაში“ არსებული და პროფესიული სტუდენტებისთვის პოტენციური ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გაგზავნა ხორციელდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან/და facebook -ზე შექმნილ ჯგუფებში. ინტერვიუირებისას პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში მოქმედება.

ინდიკატორი 3.2.2.1 შეესაბამება

2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, კერძოდ პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების, ასევე შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან. კერძოდ, აღნიშნული ინფორმაციის გაგზავნა კურსდმთავრებულებთან ხორციელდება ელექტრონული ფოსტის ან/და facebook-ზე შექმნილ ჯგუფებში. ინტერვიურებისას კურსდამთავრებულებმა დაადასტურებს აღნიშნული ფაქტის პრაქტიკაში მოქმედება.

ინდიკატორი 3.2.2.2 შეესაბამება

3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, კერძოდ დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სსიპ კოლეჯ „ თეთნულდის“ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურსდამთავრებულთა კვლევა ხორციელდება ყოველწლიურად საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მიერ. დაწესებულება ჩართულია პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევაში რომელიც ტარდება ყოველწლიურად.

ინდიკატორი 3.2.2.3 შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, კერძოდ დაწესებულების ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან გასაუბრებისა და კვლევის შედეგების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შემდგომ მათი მხრიდან მნიშვნელოვანი ცვლილების საჭიროება ჯერჯერობით არ გამოვლენილა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 3.2.2.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მენეჯერის მიერ ჩატარებული ტრენინგების ამსახველი ფოტო მასალა;
- პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიუირება;
- evaluatiuon.ge
- პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
- სსიპ კოლეჯ „თეთნულდის“ კვლევის მეთოდოლოგია დამტ. 26.12. 2024 N 02/65

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

1 **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქცია.(ბრძანება N02/14 19 თებერვალი, 2025 წელი) ასევე შემუშავებული აქვს სტრუქტურა დამტკიცებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ბრძანება N02/12 19 თებერვალი, 2025 წლის), დოკუმენტში გაწერილია თითოეული პოზიციის შესაბამისი ფუნქციები. დაწესებულებას ასევე დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძანება N02/10 17 თებერვლის 2025 წლის). დაწესებულების დირექტორის ფუნქციები განსაზღვრულია დაწესებულების წესდებით. დაწესებულების მართვის ორგანოებია სამეთვალყურეო საბჭო(მის ფორმირების წესს ადგენს დაწესებულების წესდება) და დირექტორი. დაწესებულების საშტატო ერთეულებია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი,ხარისხის მართვის სპეციალისტი, იურისტი, ფინანსური მენეჯერი,ბუღალტერი,შესყიდვების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი, სასწავლო პროცესებისა და სასწავლო საწარმოოპრაქტიკის მენეჯერი,პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ქსელის ადმინისტრატორი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ლოჯისტიკის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი/არქივარიუსი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის სპეციალისტი, მედდა, მძღოლი, დამხმარე თანამშრომელი, მეეზოვე, დამლაგებელი, ცეცხლფარეში. ასევე ყავს შტატგარეშე თანამშრომლები : საერთაშორისო ურთიერთობის მენეჯერი და ადმინისტრატორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები“, სადაც გაწერილია სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ დაწესებულების პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 შეესაბამება, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

2.**პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**.დაწესებულებას მიეცა შესაბიმისობის რეკომედაცია-სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით უზრუნველყოს, კანონმდებლობის შესაბამისად ა) ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს.
ბ) დაწესებულება გადახედავს კოლეჯის სტურქტურას და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს.
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 ნაწილობრივ შეესაბამება

3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულებას მიეცა შესაბიმისობის რეკომედაცია-სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით უზრუნველყოს, კანონმდებლობის შესაბამისად ხარისხის უზურნველყოფაზე პას უხისმგებელი პირების ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა.
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 ნაწილობრივ შეესაბამება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის მ/შ 2025წლის ,,05” ივნისის ბრძანება N02/57

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

1. დაწესებულების დირექტორის 2024წლის 6 მაისის ბრძანება N02/27 ბრძანებით დამტკიცებულია “შინაგანაწესი”, რომელიც არეგულირებს მხარეთა ძირითადი უფლებებსა და ვალდებულებებს, შრომის განაწესს, დისციპლინური პასუხისმგებლობის წესსა და წახალისების მექანიზმებს, შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო დრო, დასაქმებულის მიერ შვებულების გამოყენების პირობები და წესი, დასაქმებულის მივლინების წესი, დასაქმებულის მოვალეობები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესები, და სხვა. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომის ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს შრომის კოდექსით განსაზღვრულ სავალდებულო დებულებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 შეესაბამება, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებას მიეცა შესაბიმისობის რეკომედაცია-სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით უზრუნველყოს, კანონმდებლობის შესაბამისად ა) ადამიანური რესურსის გაძლიერება და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლება, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. ბ) პერსონალის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 ნაწილობრივ შეესაბამება.

3. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

დაწესებულებას მიეცა შესაბიმისობის რეკომედაცია-სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით უზრუნველყოს, კანონმდებლობის შესაბამისად ბიბლიოთეკარისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიციაზე კვალიფიციური პირების მობილიზება
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 ნაწილობრივ შეესაბამება.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულებამ წარმოადგინა არაერთი სამუშაო ჯგუფის და კომისიის ოქმი, რითაც დასტურდება რომ ცალკეული პროცესები იგეგმება და ხორციელდება გუნდურობის პრინციპით. კოლეჯის პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კოლეჯში ყოველკვირეულად ტარდება შეხვედრები,სადაც ხდება პრობლემური საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 შეესაბამება, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ოქმები

ფოტომასალა

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

დაწესებულებას მიეცა შესაბიმისობის რეკომედაცია-სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით უზრუნველყოს, კანონმდებლობის შესაბამისად ა) ადამიანური რესურსის გაძლიერება და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლება, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს.ბ) პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმის გადახედვა; შემუშავებული მექანიზმის საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება და კვლევის შეეგების ანალიზი.
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 ნაწილობრივ შეესაბამება.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

დაწესებულებაში პერსონალის განვითარება დაგეგმილია წლიური სამოქმედო გეგმით, კერძოდ მეორე სტრატეგიული მიზანია - პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების საჭიროების კვლევა და გადამზადება/ კვალიფიკაციის ამაღლება/გამოკითხვები, ხოლო დაგეგმილი აქტივობებია: კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროგრამების განმახორციელებლების საჭიროებების კვლევა, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარების კონკრეტული აქტივობების გეგმა-გრაფიკი, რომელიც ასევე დაეყრდნობა დაწესებულების პერსონალის საჭიროებების კვლევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 შეესაბამება, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარების კონკრეტული აქტივობების გეგმა-გრაფიკი, რომელიც ასევე დაეყრდნობა დაწესებულების პერსონალის საჭიროებების კვლევას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება მოიცავს სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით: ა) პროფესიული მასწავლებლის შეფასება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ სასწავლო პროცესზე დასწრებისას; ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება პროფესიული სტუდენტის მიერ. თუმცა, დაწესებულების მხრიდან არ განხორციელებულა შეფასება დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით და შესაბამისად არ დამდგარა კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის საჭიროება. რეკომენდებულია დაწესებულებამ სისტემურად განახორციელოს პერსონალის განვითარების ღონისძიებები, მათ შორის მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიურების გზით დააიდენტიფიციროს საჭიროებები, პერსონალის შეფასების მრავალმხრივი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 შეესაბამება, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, *თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს, მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიურების გზით დააიდენტიფიციროს საჭიროებები, პერსონალის შეფასების მრავალმხრივი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.*

4.პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებას მიეცა შესაბიმისობის რეკომედაცია-სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით უზრუნველყოს, კანონმდებლობის შესაბამისად ა) ადამიანური რესურსის გაძლიერებას და მათი პროფესიული კომპეტენციის ამაღლებს, რათა რეგულაციებით განსაზღვრული პროცესები კვალიფიციურად და სრულად განხორციელდეს. ბ) კოლეჯის სტურქტურას და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების გადახედვა.
გ) ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრაციის პროცესის მექანიზმების სრულყოფა.
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 ანაწილობრივ შესაბამისია.

5.პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დაწესებულებაში არ არის ფორმალიზებული პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება, თუმცა პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში დაწესებულება ახორციელებს პერსონალის ინიციატივების წახალისებას. აღნიშნულის დასტურად დასახელებულ იქნა სასწავლო პროცესებისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის გადამზადება, სასწავლო ვიზიტით გერმანიაში(წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმნტაცია). ასევე სხვა ადმინისტრაციულ პერსონალისათვის ჩატარარებული ტრენინგები(დასტურდება ფოტო მასალით).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 შეესაბამება, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დირექტორის 2020 წლის 17.02 N02-10 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“

ფოტო მასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

დაწესებულების სარგებლობაშია დაბა მესტიაში ე.ფარჯიანის ქ. N 25-ში მდებარე შენობა ნაგებობა, საკადასტრო კოდი (42.06.33.777) . შენობა-ნაგებობა აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარით. არსებობს შენობის შიდა აზომვითი ნახაზი, პირველ სართულზე განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები (A, B და C გარემო), საკონფერენციო დარბაზი, მედდის ოთახი, სველი წერტილი შშმ პირებისთვის. მე-2 სართულზე განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები (A, B და C გარემო), ადმინისტრაციული პერსონალისა და მასწავლებლების სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა, სველი წერტილები. სტუდენტთა თავშეყრის სივრცე განთავსებულია ფოიეში. შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი.

ინდიკატორი 5.1.1.1 შეესაბამება

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნული განსაზღვრულია კოლეჯის შინაგანაწესით (სტუდენტის უფლებები), კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის, მატერიალური რესურსების გამოყენების წესის და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ინდიკატორი 5.1.1.2 შეესაბამება

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებას საშტატო განრიგით ჰყავს დამლაგებელი. დაწესებულებას შიდა მარეგულირებელი აქტის სახით შემუშავებული აქვს სანიტარული ჰიგიენური ნორმების დაცვის მექნიზმი.

დაწესებულების მედდა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლს, ხოლო მეეზოვე და დამლაგებლები უზრუნველყოფენ ნორმების დაცვას. სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვა დასტურდება ჰიგიენური საშუალებების შეძენის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციითა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

ინდიკატორი 5.1.1.3 შეესაბამება

4. . შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით; დაწესებულების შენობა ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

დაწესებულება უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით. გათბობის სისტემა მუშაობს საწვავზე. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთან“ საწვავის მოწოდების შესახებ. ასევე ყოველთვიურად გადახდილია ელ. ენერგიის მოსაკრებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 5.1.1.4 შეესაბამება

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების წესი“, „სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესი“, „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, სადაც გაწერილია დაწესებულების უსაფრთხოებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები, სახანძრო სიგნალიზაციის და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებლობები, შესაბამისი ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩამონათვალი პერსონალისთვის და და სტუდენტებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ინსტრუქტაჟებზე დასწრების ფურცლები.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება დაცვის კომპანიასთან შპს „ვიქტორია სექიურითი“ შენობის პერიმეტრზე უსაფრთხოების დაცვის მომსახურებაზე. დაცვის თანამშრომელი ვალდებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის გამართულად მუშაობასა და ჩანაწერების შესაბამისი წესით შენახვაზე.

პსდ-ს ასევე შემუშავებული აქვს „სასწავლო ლაბორატორიებში უსაფრთხოების ნორმების დაცვის ინსტრუქცია“, რითაც რეგულირდება სასწავლო გარემოებში უსაფრთხოების წესები. წესით განსაზღვრული მოთხოვნები დაცულია სასწავლო გარემოებში.

დაწესებულებას საშტატო განრიგით აყვანილი ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს სამეგრელო-ზემო სვანეთის „სახანძრო საზოგადოების“ მიერ ორგანიზებული „სახანძრო უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირების ტრენინგი“.

შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით *„შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. ამ პროგრამის მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.*“ დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს გავლილი არ აქვს შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტირებული პროგრამა/ტრენინგი.

დაწესებულებას აქვს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის დადებითი დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯს არ აქვს შენობის მდგრადობის დასკვნა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ მიმართა ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შენობის მდგრადობის დასკვნის მომზადების თაობაზე, რის დასტურადაც კოლეჯმა წარმოადგინა ელ. მიმართვის წერილი.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზები, შესრულების ვადები, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს 15 თვიანი პერიოდი. აღნიშნულ პერიოდში დაწესებულება გეგმავს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესაბამისად აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების და აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრას. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვით უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის აყვანა.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას, წარმოადგინა „სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დადებითი დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, შესაბამისად ამ ნაწილში ინდიკატორი შესაბამისია.

ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „ ნაწილობრივ შეესაბამება “.

ინდიკატორი 5.1.1.5 ნაწილობრივ შეესაბამება.

6.დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

კოლეჯში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული პროცესი გაწერილია „სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და „სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ მატერიალური რესურსების (სასწავლო მასალების, აღჭურვილობისა და სხვა) შესყიდვის საჭიროებების, შენახვა გაცემის, ხარჯვისა და ჩამოწერის რეგულაცია/წესში“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა რეალური პროცესების რეგულაციებთან შესაბამისობა, რაც დადასტურდა მასალების მოთხოვნის, შესყიდვისა და გადაცემის ფორმებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 5.1.1.6 შეესაბამება

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

დაწესებულების რესურსების შეფასებასა და განვითარების შესახებ გაწერილია კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“. დაწესებულების ხარისხის სამსახური მისი გეგმის შესაბამისად ახდენს რესურსების შეფასებას, რაც გამოიყენება მატერიალური რესურსის შემდგომი განვითერებისათვის. აღნუშნული მიმართულებით საკითხები გაწერილია სტუდენტისა და მასწავლებლების კითხვარებშიც.

ინდიკატორი 5.1.1.7 შეესაბამება

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

დაწესებულებაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით, აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. სველ წერტილებში განთავსებულია ჰიგიენის დაცვის საშუალებები.

ინდიკატორი 5.1.1.8 შეესაბამება

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

შენობა, რომელშიც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ სართულიანია. ნაგებობა ისეა დაპროექტებული, რომ იძლევა ბუნებრივი განათების შესაძლებლობებს. კოლეჯის სასწავლო ფართებს და ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 5.1.1.9 შეესაბამება

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. შენობაში არ არის ერთმანეთში გამავალი აუდიტორიები ან სივრცეები.

ინდიკატორი 5.1.1.10 შეესაბამება

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დაწესებულებას შემოშავებული აქვს „ბიბლიოთეკის დებულება“ და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში გაწევრიანების, წიგნების გატანა-დაბრუნების, ბიბლიოთეკაში ქცევის წესების შესახებ. ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით არსებული) ხელმოსაწვდომია მომხმარებლისათვის. ბიბლიოთეკა განთავსებულია კოლეჯის სასწავლო კორპუსის მეორე სათულზე, წიგნადი ფონდის შესაბამისი ფართით, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და ტექნიკით (ინტერნეტში ჩართული 4 კომპიუტერი, პრინტერი). კოლეჯის ბიბლიოთეკაში ყოველწლიურად ხდება ბიბლიოთეკის ფონდის შევსება-განახლება საგანმანათლებლო პროგრამებში (მოდულებში) მითითებულ ლიტერატურით და ასევე ელექტრონული წიგნებით, რომლებიც განთავსებულია ვებ გვერდზე. დაწესებულება სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით „openbiblio“. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ხელმისაწვდომია პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის. კოლეჯში ხორციელდება საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვა საინვენტარო წიგნების სახით. ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი არის ბიბლიოთეკარი.

დაწესებულება არ თანამშრომლობს საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან. როგორც ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, განახლებულ საკანონმდებლო აქტებზე წვდომას უზრუნველყოფს დაწესებულების იურისტი, რომელსაც აქვს პირადი იუზერი www.matsne.gov.ge-ზე.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ითანამშრომლოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს საკანონმდებლო აქტების კონსოლიდირებულ ვერსიებზე მუდმივ ხელმისაწვდომობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 5.1.1.11 შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი უძრავი ქონების რეესტრიდან, შიდა აზომვითი ნახაზი;
- შინაგანაწესით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (ბრძ. 02/57, 5.06.2025წ);
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის (ბრძ.02/10, 16.04.2020);
- მატერიალური რესურსების (სასწავლო მასალების, აღჭურვილობისა და სხვა) შესყიდვის საჭიროებების, შენახვა-გაცემის, ხარჯვისა და ჩამოწერის რეგულაცია/წესი. (ბრძ.02/31, 04.06.2018);
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი (ბრძ.02/19, 27.02.2025);
- შრომის უსაფრთხოების წესი (დამტკიცებული N02/10, 17.02.2025);
- სასწავლო ლაბორატორიებში უსაფრთხოების ნორმების დაცვის ინსტრუქცია(დამტკიცებული N02/26, 04.03.2025);
- შრომის უსაფრთხოების წესი(დამტკიცებული N02/19, 27.02.2025);
- სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესი (დამტკიცებული N02/67, 22.12.2020);
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (დამტკიცებული N02/16, 25.02.2025);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებული N02/10, 17.02.2025);
- მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებები.
- პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებით.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.ორივე სართულზე დამონტაჟებულია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. დაწესებულების შენობაში ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო ჩანაწერის/შენახვის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეო კამერები. „შემუშავებულია სახანძრო უსაფრთოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესი“, სადაც გაწერილია უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოდგინა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთოების შესახებ და ასევე წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის სატელეფონო ნომერი.
დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ვიქტორია სექიურითისთან“ შენობის პერიმეტრზე უსაფრთხოების დაცვის მომსახურებაზე. დაცვის თანამშრომელი ვალდებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის გამართულად მიშაობასა და ჩანაწერების შესაბამისი წესით შენახვაზე.

ინდიკატორი 5.1.2.1 შეესაბამება

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დაწესებულებას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირი, მედდა, რომლებიც პასუხისმგებელია პირველი დახმარების აღმოჩენაზე. დაწესებულებას აქვს პირველი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი, შეძენილია პირველი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო აღჭურვილობა და მასალები. დაწესებულებაში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი, რომლის მედიკამენტებით განახლება ხორციელდება პერიოდულად. პირველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირს გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება. განსაზღვრულია პირველ გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები, გაფორმებულია ხელშეკრულება.
კოლეჯში შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

ინდიკატორი 5.1.2.2 შეესაბამება

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების წესი“ და „სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესი“, სადაც გაწერილია დაწესებულების უსაფრთხოების, სახანძრო სიგნალიზაციის და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების გამართულ მიშაობაზე პასუხისმგებლობები, შესაბამისი ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩამონათვალი პერსონალისთვის და და სტუდენტებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ინსტრუქტაჟებზე დასწრების ფურცლები.
დაწესებულებას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ აქვს შეთანხმებული შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი მიმართვის წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას, წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების წერილი, შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.
ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება “

ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილი შეესაბამება

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება დაცვის კომპანია შპს „ვიქტორია სექიურითი“, რომლის წარმომადგენელი უსაფრთხოებას იცავს 24 საათიან რეჟიმში. კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით (ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი.) ასევე გარე პერიმეტრზე, ეზოში, დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო კამერა. წესრიგისა და უსაფრთოების დაცვის მექანიზმები გაწერილია „სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესში“. დასწესებულებაში დაცულია პირთა პერსონალური მონაცემები, რისთვისაც ერთ-ერთი მექანიზმი მოიცავს პირთა ინფორმირებას სამეთვალყურეო კამერების არსებობის შესახებ. შენობაში თვალსაჩინო ადგილებზეს გამოკრულია ნიშნები ვიდეო მონიტორინგის შესახებ.

ინდიკატორი 5.1.2.4 შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შრომის უსაფრთხოების წესი (დამტკიცებული N02/10, 17.02.2025);
- სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესი (დამტკიცებული N02/67, 22.12.2020);
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (დამტკიცებული N02/16, 25.02.2025);
- მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებები.
- ადმინისტრაციასთან გასაუბრება. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

დაწესებულების IT ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, აქსესუარები, კომპიუტერული ქსელი და სისტემები) შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულებას კომპიუტერული ტექნიკით აქვს აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, პროფესიული სტუდენტებისთვის სამუშაო სივრცე, ადმინისტრაციის პერსონალის სამუშაო სივრცე. კოლეჯში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულებას ინტერნეტ პროვაიდერთან -შპს „სქაიტელთან“ გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება.

ინდიკატორი 5.2.1.1 შეესაბამება

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. აღნიშნულის რეგულირების მიზნით, კოლეჯს შემუშავებული აქვს “IT ტექნოლოგიების უსაფრთხოების პოლიტიკა“. დაწესებულებას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს კვალიფიციური ქსელის ადმინისტრატორი. დაწესებულების კომპიუტერებზე დაყენებულია ვირუსებისაგან დაცვის პროგრამები, შეზღუდულია წვდომა არასანდო ვებ გვერდებზე.

ინდიკატორი 5.2.1.2 შეესაბამება

3.დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

კოლეჯში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა რომელიც განახლდა და დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №02/10 ბრძანებით. აღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. მექანიზმის მიზანია პირადი ინფორმაციის უსაფრთხო შენახვას, გამოყენებას და დამუშავებას კანონმდებლობის ფარგლებში. ვებ - გვერდზე განთავსებულია პერსონალის მხოლოდ სახელი და გვარი. ორგანიზაცია იღებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა დაცული იყოს სტუდენტების, თანამშრომლების და სხვა მომხმარებლების პირადი მონაცემები, რომლებიც არ გაიგზავნება მესამე მხარეებთან მათი თანხმობის გარეშე ან მათ მიერ დაწესებული წესების მიხედვით. პროფესიულ სტუდენტებთან და დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არის სპეციალური ჩანაწერი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით კანონმდებლობის მოთხოვნებთან პროცესების შესაბამისობის სწორად მართვის მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ მომსახურების ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიასთან შპს „ჯეოსეიფთი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 5.2.1.3 შეესაბამება

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

კოლეჯი აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას პროფესიული სტუდენტების გამოკითხვებისა და პერსონალისაგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე და გაუმჯობეს მიზნით იღებს საჭირო ზომებს. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ შიდა რეგულაციის მიხედვით კოლეჯში პერიოდულად ხდება IT სტრუქტურაში გამოყენებული მოწყობილობების გამართულად მუშაობის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამული და ტექნიკური ოპტიმიზაცია.

ინდიკატორი 5.2.1.4 შეესაბამება

5.პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომ IT ინფრასტრუქტურასა და მომსახურებას, რაც გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების უწყვეტი მუშაობის, ტექნიკური მხარდაჭერის და რესურსების მიწოდებას. ეს მომსახურება მოიცავს როგორც კომპიუტერულ აღჭურვილობას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია განათლებისა და სამუშაო პროცესის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. კოლეჯი ატარებს კვლევებს როგორც პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე პერსონალთან IT ინფრასტრუქტურასა და მომსახურების შესახებ. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

ინდიკატორი 5.2.1.5 შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6.პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით;

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული კომუნიკაციის სიტემის მეშვეობით. ელექტრონული სისტემით: ესენია ელ. ფოსტა, ვებ გვერდი, სოციალური ქსელი, მესიჯების სისტემა; აღნიშნული ელექტრონული კომუნიკაციის სისტემა მიზნად ისახავს ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად გავრცელებსა შესაბამის პირებთან. სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა აღნიშნული საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 5.2.1.6 შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- IT ტექნოლოგიების უსაფრთხოების პოლიტიკა (დამტკიცებული ბრძ. №02/11, 17.02.2025)
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (დამტკიცებული ბრძ. №02/10, 17.02.2025)
- მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვიზუალური დათვალიება;
- ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან/სტუდენტებთან გასაუბრება.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

დაწესებულებაში მოქმედებს საქმისწარმოების წესი, დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის №02/13 ბრძანებით. წესში განსაზღვრულია დოკუმენტის მიღების, რეგისტრაციის, ხარვეზის დადგენის, ინდექსიაციის წესები, რეგისტრაციის ვადები. შიდა დოკუმენტაციის ფორმები და სხვა. დაწესებულების რეალური საქმისწარმოების პროცესები სრულად შესამისობაშია კოლეჯის შიდა რეგულაციასთან.

ინდიკატორი 5.2.2.1 შეესაბამება

2.პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

დაწესებულებაში ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება Eflow-ს სისტემის გამოყენებით. ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი და პედაგოგი ჩართულია სისტემაში. ექპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების Eflow-ში მუშაობის სპეციფიკა.

ინდიკატორი 5.2.2.2 შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ვიზიტის დროს გადამოწმდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა, სადაც ასახულია ინფორმაცია სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების შესახებ, ბაზაში ასახულია შესაბამისი ბრძანებების რეკვიზიტები.

ინდიკატორი 5.2.2.3 შეესაბამება

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს/ინფორმაციას კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს. დაწესებულებამ წარმოადგინა კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებში წარდგენილი ინფორმირების წერილები და ანგარიშები.

ინდიკატორი 5.2.2.4 შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის „თეთნულდი“ საქმისწარმოების წესი (დამტკიცებული N02/13, 22.04.2020);
- .ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

5.2.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი https://tetnuldi.edu.ge/ და გვერდი Facebook-ის სოციალურ ქსელში. ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებ-გვერდზე განთავსებულია კოლეჯის სტრუქტურა, მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, პროგრამების შესახებ ინფორმაცია, სამართლებრივი აქტები, სიახლეები და სხვა. დაწესებულებამ წარმოადგინა დომენისა და ჰოსტინგის დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლებაზე პასუხისმგებელი პირი არის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

ინდიკატორი 5.2.3.1 შეესაბამება

2. . დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულების ვებ-გვერდი ორენოვანია, კოლეჯის შესახებ ძირითადი ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებულია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზეც.

ინდიკატორი 5.2.3.2 შეესაბამება

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ვებ გვერდი განახლებულია 2025 წელს, რაზეც დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება. ვებ გვერდზე ანონსის სახით განთავსებულია განსახორციელებელი პროგრამების შესახებ ინფორმაცია.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. წესში არ არის გაწერილი ვებ გვერდზე და სოციალური ქსელში ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და მექანიზმი. აღნიშნულ ფუნქციას ფაქტობრივად ასრულებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ შიდა რეგულაციაში ასახოს ვებ გვერდზე და სოციალური ქსელში ინფორმაციის განთავსებაზე და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირი და მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 5.2.3.3 შეესაბამება

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

დაწესებულებას ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს კატალოგი. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების შესახებ, კოლეჯის ისტორიას, პროგრამების შესახებ ინფორმაციას და სხვა, რაც დაინტერესებულ მხარეს უქმნის სწორ წარმოდგენას კოლეჯის ფუნქციონირების შესახებ.

ინდიკატორი 5.2.3.4 შეესაბამება

5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

სსიპ კოლეჯი თეთნულდს კატალოგი განახლებული აქვს მიმდინარე წლით და ვებ გვერდზე განთავსებულია 2025 წლის კატალოგი.

ინდიკატორი 5.2.3.5 შეესაბამება

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კოლეჯი „თეთნულდი“ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს აქტიურად იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. უკუკავშირისთვის ვებ გვერდზე განთავსებულია შესაბამისი ფუნქცია. ეს გულისხმობს, რომ კოლეჯი მუდმივად აფასებს სტუდენტების, მასწავლებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოხმაურებას, რათა მოახდინოს საჭირო ცვლილებები და გაუმჯობესებები განათლების სისტემაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უკუკავშირის ეფექტურად გამოყენება საშუალებას აძლევს კოლეჯს მოახდინოს ოპტიმიზაცია, დახვეწოს სწავლების მეთოდები, გააუმჯობესოს გარემო და უფრო სათანადო პასუხები გასცეს სხვადასხვა გამოწვევებს. ასეთ მიდგომას, ამასთანავე, აქვს გავლენა საზოგადოებისგან ნდობისა და პატივის აღიარების მოპოვებაზე, რაც ხელს უწყობს კოლეჯის რეპუტაციის გამყარებას.

ინდიკატორი 5.2.3.6 შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვებ გვერდის დათვალიერება
- ადმინისტრაციასთან გასაუბრება
- სსიპ კოლეჯი თეთნულდის კატალოგი
- კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (N02/10, 17.02.2025წ)

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

კოლეჯის ,,თეთნულდი" ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. დაწესებულება ყოველწლიურად, წლის დასაწყისში გეგმავს წლიურ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომელიც შინაარსობრივად მოიცავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ და დაწესებულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ აქტივობებს. დაწესებულებას დაგეგმილის შემოსავლები და ხარჯები საპროგნოზო ბიუჯეტის სახით გაწერილი არ აქვს, აღნიშნული მაჩვენებლები წარმოდგენილი იქნა 2 სხვადასხვა დოკუმენტის სახით.

სამოქმედო გეგმაში გაწერილი არ არის აქტივობებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი, შესაბამისად თანხობრივად სამოქმედო გეგმისა და დაგეგმილი ხარჯების შედარება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ განხორციელდა. დაწესებულებას არ აქვს გაწერილი საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების წარმოების პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ დაწესებულება აკეთებს ანგარიშებს ფაქატობრივი ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ. ფაქტობრივი ბიუჯეტის სახით გაწერილ დოკუმენტს დაწესებულება არ ამზადებს.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ რეგულაციის სახით შეიმუშაოს ბიუჯეტების წარმოების პროცედურები და ერთ დოკუმენტად მოამზადოს დაწესებულების საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტები.

ინდიკატორი 5.3.1.1 შეესაბამება

2.საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საოპერაციო ხარჯები. დაწესებულებამ წარმოადგინა წლიური ანგარიშგება (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, მოგება-ზარალის ანგარიშგება). ანგარიშგებაში ასახული წინა პერიოდის შემოსავლები და ხარჯები, რაც იძლევა საშუალებას დადგენილი იქნას ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა. ვინაიდან დაწესებულება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ შესაბამისად, ანგარიშგების www.rms.reportal.ge-ზე წარდგენის ვალდებულება არ გააჩნია.

ინდიკატორი 5.3.1.2 შეესაბამება

3.დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს “ფინანსური მდგრადობის შეფასების მექანიზმები” (დამტკიცებული N02/23, 28.02.2025 ბრძანებით), რომლის მიხედვითაც ფინანსური მდგომარეობის შეფასება წარმოებს ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში. დაწესებულებას შედგენილი აქვს შესაბამისი ანგარიშები, საიდანაც დგინდება, რომ დაწესებულება ფინანსურად მდგრადია. დაწესებულება ყოველწლიურად წარადგენს შესაბამის ფინანსურ ანგარიშებს კონტროლის განმახორციელებელ უწყებებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯი უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, რეგულარულ ანალიზს უკეთებს საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას. ეს პროცესი მოიცავს ფინანსური ანგარიშგების, შემოსავლებისა და ხარჯების განხილვას, ასევე სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლების შეფასებას. ასეთი შეფასება მნიშვნელოვანია, რომ კოლეჯმა შეძლოს გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნება, სწორად დაგეგმოს თავისი ფინანსურ სტრატეგიები და უზრუნველყოს ეფექტური რესურსების გამოყენება.

ინდიკატორი 5.3.1.3 შეესაბამება

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

კოლეჯი სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს "ფინანსური მდგრადობის შეფასების მექანიზმები", რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე აანალიზებს დაწესებულების შედეგებს. თუ ფინანსური ანალიზი და შეფასება ცხადყოფს რომელიმე პრობლემის არსებობას ან საჭიროებას, კოლეჯის დირექტორი იღებს შესაბამის ზომებს. როგორც ფინანსურ მენეჯერთან და დირექტორთან გასაუბრებისას აღინიშნა, ეს შეიძლება მოიცავდეს ხარჯების ოპტიმიზაციას, ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენებას, რათა ხელი შეეწყოს კოლეჯის ფინანსური მდგრადობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

რეაგირება შეფასების შედეგებზე მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს კოლეჯის მდგრადობას და განვითარების შესაძლებლობას გრძელვადიან პერიოდში.

ინდიკატორი 5.3.1.4 შეესაბამება

დასტურდება:

- ფინანსური მდგრადობის შეფასების მექანიზმები;
- 2024წ. ფინანსური ანგარიშგებები;
- ფაქტობრივი ანგრიშები შედეგების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	*ბოლოტრული აღრიცხვა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული განათლების დონე	*მეხუთე*
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	*უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში*
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	*0411*
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 ბრძანებით*
პროგრამის განხორციელების ენა	*ქართული*
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	*მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25*
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	*იმიტირებული სამუშაო გარემო*
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	*30*
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	*-*
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*-*
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*99*
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია მასწავლებლის კომპეტენცია.პროფესიული განათლების მასწავლებელი პერიოდულად ეცნობა და საკუთარ საქმიანობაში ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგი მათ შორის ,,სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში დ პროფესიულ სტუდენტების მიღწევების შეფასება“. კოლეჯი უზრუნველყოფს ტრენინგებს როგორც არსებული, ასევე ახლადშემოსული ადამიანური რესურსისთვის, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, დარგის ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს. ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორ კოლეჯებთან ერთად სამუშაო შეხვედრები სწავლება-შეფასების მიდგომებში. მასწავლებლები უკუკავშირს სასწავლო პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებით ასახავენ კალენდარულ გეგმებში, რაც შემდგომ პროგრამაში ცვლილების შეტანის და უკეთ განხორციელების საფუძველია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით,კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან პროგრამის განმახორციელებელი ორი პროფესიული მასწავლებელი იმყოფებოდა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით ლიტვაში და თურქეთში სადაც გაეცვნენ სწავლების მეთოდებს, უახლეს ტექნოლოგიებს,სიახლეებს დარგში. მათ მიღებული ცოდნა გაუზიარეს როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე კოლეგებსა და დაინტერესებულ პირებს. ინდიკატორი 2.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მობილობით გადმოსული, სტატუსშეჩერებული და სხვა)

.კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილს გავლილი აქვს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნილი ცენტრის ტრენინგი: „სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“, რასაც წარმატებით იყენებენ სწავლების პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისია

5.პროფესიული საგანმანთლებლო პრაგრამა ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" რომლის საერთო პროფესიული მოდულის ,,დარგის გაცნობა"განსაზღვრულია სასწალო ექსკურსიას. კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ააიპ ლატლიიშდ ს/კ435895186

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისია

6.სწავლება ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა,დამონტაჟებულია კამერები, ყავს უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, ხოლო საწავლო აუდიტორიებში გამოკრულია საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ უსფრთხოების ინსტრუქტაჟი სწავლის შედეგების შესაბამისად კოლეჯში აგრეთვე მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

კოლეჯში უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, სათანადოდ აღჭურვილი მედპუნქტი,მედიკამენტები და მედდის საშტატო ერთეული. კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით (ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი.) ხოლო გარე პერიმეტრზე, ეზოში.დამონტაჟებულია 4 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერა დასტურდება ადგილზე ნახვით და ვიზუალურიდათვალიერებით, მიღება-ჩაბარების აქტებით.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულება პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის საკითხებს არეგულირებს შიდა მარეგულირებელი აქტების - „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ (დამტკიცებული N02/15, 22.04.2020 ბრძანებით), „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“(დამტკიცებული N02/11, 22.03.2022 ბრძანებით) და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(დამტკიცებული N02/57, 05.06.2025 ბრძანებით). დაწესებულების მარეგულირებელ აქტებში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების კრიტერიუმები, პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული შიდა პროცესები, განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა, შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, შეფასების ინსტრუმენტების შენახვის წესი, შეფასების ინსტრუმენტების შიდა ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცედურები, თუმცა წესებში არეულია ვერიფიკაციისა და ვალიდაციის ტერმინები.

„პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მიხედვით ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის პროცესის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება (დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ან ჯგუფის შეხვედრის ოქმი, ან ელ. მიმოწერა ან სხვა) ვერ წარმოადგინა. პროფესიულ მასწავლებლებმა და სასწავლო პროცესის მენეჯერმა გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფს დაუდასტურეს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის ფაქტობრივად განხორციელება, თუმცა აღნიშნულის შესახებ არ არსებობს არანაირი მატერიალური მტკიცებულება.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზი, შესრულების ვადები, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს სამ თვიანი პერიოდი. აღნიშნულ პერიოდში დაწესებულება გეგმავს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესაბამისად აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების და აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრას. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვით უზრუნველყოს ვალიდაციის პროცესისა და შესაბამისი შიდა რეგულაციების სრულყოფა.

ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება “.

ინდიკატორი 2.4.2.1 მეტწილად შეესაბამება.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ვერიფიკაციის მექანიზმები გაწერილია კოლეჯ „თეთნულდის“ სასწავლო პროცესის მართვის წესში, „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში“, „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“.სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილი ვერიფიკაციის პროცედურა შინაარსობრივად შეესაბამება ვალიდაციის პროცედურებს. „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქციით“ განსაზღვრულია შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები. რეგულაციის მიხედვით, შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ვერიფიკაციისთვის შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი და ვერიფიკაციაში ჩართული პირები, ვერიფიკაციის პროცედურები (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შიდა ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნა, ხარისხის მენეჯერის 25.12.2024 წ. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები არ არის დათარიღებული და ხელმოწერილი. ასევე, არ არსებობს აღნიშნული დოკუმენტების ელექტრონული ან მატერიალური ფორმით ან ეფლოუს საშუალებით დაინტერესებულ მხარესთან წარდგენის მტკიცებულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა წარმოდგენილი დოკუმენტების ვალიდურობაში. ვერიფიკაციის დასკვნები ძირითადად დადებითადაა შეფასებული და ხარისხის მენეჯერის განცხადებით, სამოქმედო გეგმების შექმნის საჭიროება არ დამდგარა.

დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული რისკების სისტემა და ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება ვერიფიკაციისთვის ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის გადაწყვეტილებით, თუ რომელ პროგრამას მიიჩნევს მაღალი რისკის მატარებლად.

ვერიფიკაციის სისტემა არ არის ცხადი და გამჭვირვალე. ვერც შესაბამისი შიდა მარეგულირებელი აქტებით და ვერც პროცესების შესწავლით, ვერ დადგინდა ვერიფიკაციის პროცესის მიმდინარეობა.

ასევე, შიდა მარეგულირებელ აქტებში შინაარსობრივად და ტერმინოლოგიურად შეუსაბამოა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის შესახებ ჩანაწერები.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზი, შესრულების ვადები, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს ექვს სამთვიანი პერიოდი. აღნიშნულ პერიოდში დაწესებულება გეგმავს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესაბამისად აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების და აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრას. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვით უზრუნველყოს ვერიფიკაციის პროცესისა და შესაბამისი შიდა რეგულაციების სრულყოფა.

ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება “.

ინდიკატორი 2.4.2.2 მეტწილად შეესაბამება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.დირექტორის შესაბამისი აქტის საფუძველზე 2020წლის 13 ივლისი №02/28 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მიხედვით კოლეჯში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შქმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი

მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3(სამი წლის ვადით,ხოლო შეფასების უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისია.

4.კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შეფასების შედეგები გამოიყენება მათი და პროგრამების განვითარების მიზნით. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით.სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე.სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას,შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე დშესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისია

შეფასება:

- ***გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.***

- ***შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.***

☐ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	*სატყეო საქმე*
პროფესიული განათლების დონე	*მეოთხე*
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	*საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში*
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	*0821*
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 ბრძანებით*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის განხორციელების ენა	*ქართული*
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	*მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25*
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	*რეალური სამუშაო გარემო*
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	*კოოპერაციული*
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	*42*
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	*12*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*118*
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*90*
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*148*
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*120*

I.ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	*საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება* *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	*ექსპერტთა ჯგუფის შეფასება* *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძვნება სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას და შესაბამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. სხვადასხვა კვლევებზე და რეგიონის სპეციფიკაზე დაყრდნობით, დაწესებულებას დასაბუთებული აქვს პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა. დაწესებულება წარმოადგენს მრავალპროფილიან საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც აქვს პროგრამების ფართო სპექტრი. შესაბამისად, „სატყეო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

„სატყეო საქმე“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა დადგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით. ასევე, პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელი მოთხოვნაა პროგრამის განხორციელების ენის ფლობა შესაბამის დონეზე. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პროცედურები განსაზღვრულია შიდა მარეგულირებელი აქტით.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შიდა მარაგულირებელი აქტით „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა, პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობა, ადამიანური რესურსის რაოდენობა. სასწავლო გარემოების განაწილებაზე დაწესებულებას შექმნილი აქვს შესაბამისი

პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე „სატყეო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა-42 სტუდენტი- განსაზღვრულია რეგულაციის შესაბამისად და დამაკმაყოფილებელია ყველა ფაქტორთან მიმართებაში. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 15 ადგილიანი A და B გარემო. პროგრამაზე ხელშეკრულება გაფორმებულია 6 პროფესიულ მასწავლებელთან, მათ შორის 2 მასწავლებელი ახორციელებს დარგობრივ მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სატყეო საქმე“ გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ვალიდურია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ , დაწესებულების შიდა რეგულაციების შესაბამისად, დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 ბრძანებით

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სახელწოდება „სატყეო საქმე“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ შემუშავებულია ქართულ ენაზე შესაბამისი პროფესიული სტანდარტისა და დაწესებულების შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას.

ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სატყეო საქმე დამტკიცებულია 2025 წლის 31 იანვრის № 02/05 ბრძანებით*
- *პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის N02/10, 17.02.2025 ბრძანებით).*
- *საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსის დათვალიერება;*
- *ადმინისტრაციასთან გასაუბრება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის

მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით კერძოდ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. მესტიაში, ე.ფარჯიანის N25.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A , B და C დაგარემოები.

A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის „სატყეო საქმე“-ს ზღვრული რაოდენოსთვის 42 (ერთ ცვლაში 15, ხოლო ინტეგრირებულის შემთხვევაში 12 პროფესიული სტუდენტი) პროფესიული სტუდენტზე („პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წესი“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2025 წლის

17 თებერვლის №02/10 ბრძანებით). სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისათვის, რომელის არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დაფით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი) და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

B სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი/ნოუთბუქი), მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი) და ინეტრნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი).

C სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით ან გარე სივრცე სპეციალობის დემონსტრირებისა და პრაქტიკისთვის აუცილებელი ძირითადი ტექნიკითა და ინვენტარით. ასევე, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის განკუთვნილი სივრცე - სასწავლო ლაბორატორიები. საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების ნაწილი ჩატარდება პრაქტიკის ობიექტებზე, რომლის მიზანია შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს შესახებ, ისარგებლონ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით და შეძლონ სატყეო სამეურნეო ღონისძიებების უსაფრთხოდ განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საწარმოო პრაქტიკის მოდული ითვალისწინებს სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე. კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმების/ხელშეკრულების საფუძველზე.

პროგრამაში მუშაობის ფაქტები, მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ მატერიალურ რესურს. შესაბამისად, ***ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისია***

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 14 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 2, ხოლო 12 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. შესაბამისად, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი, „საგანმანათლებლოდაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთანდაკავშირებით“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი კერძოდ,

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ სატყეო საქმე“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“-ს მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს.

ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს:

• სამკითხველო სივრცეს 15 პირზე, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის;

• 4 კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში;

• პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას.

ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დამატებით, კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობას, გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (tetnuldi.edu.ge), ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში (ბიბლიოთეკის დებულება); აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე(ასეთის საჭიროების შემთხვევაში) , რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. კოლეჯის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

• სპეციალისტის ჩართულობას, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;

• სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;

• კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

• სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულ “სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში”

• ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;

• სხვა დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების ადაპტაციას, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ: კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს.

ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 12 სტუდენტს.

აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის:

• სასწავლო პროცესის მართვა;

• სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება;

• სასწავლო რესურსების განახლება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

• ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;

• ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ანაზღაურება.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

• მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

• პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;

• პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;

• „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წესი“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №02/10 ბრძანებით;

• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სატყეო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2025 წლის 31 იანვრის № 02/05 ბრძანებით

• პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;

• პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;

• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შერჩევის ზოგადი წესი დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის “ თეთნულდი” დირექტორის 2024 წლის 8 მაისის №02/26 ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

• სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №02/09 ბრძანების საფუძველზე;

• მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

• ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.

• ვიზუალური დათვალიერებით;

• პროგრამის ბიუჯეტით;

• ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ: სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“-ს დირექტორის № 02/05, 31.01. 2025 წ. ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

-სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობით.

-საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას.

-სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია;

-სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებელი ფართის დაქირავების უზრუნველყოფა კოლეჯის მიერ.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს. პროგრამის ხელმძღვანელი ადასტურებს, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს. პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები. გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ: კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში.

პროფესიული განათლების მასწავლებელი პერიოდულად ეცნობა და საკუთარ საქმიანობაში ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგი მათ შორის ,,სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში დ პროფესიულ სტუდენტების მიღწევების შეფასება“. კოლეჯი უზრუნველყოფს ტრენინგებს როგორც არსებული, ასევე ახლადშემოსული ადამიანური რესურსისთვის, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, დარგის ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს. ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორ კოლეჯებთან ერთად სამუშაო შეხვედრები სწავლება-შეფასების მიდგომებში. მასწავლებლები უკუკავშირს სასწავლო პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებით ასახავენ კალენდარულ გეგმებში, რაც შემდგომ პროგრამაში ცვლილების შეტანის და უკეთ განხორციელების საფუძველია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების ორი მასწავლებელი იმყოფებოდა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით ლიტვაში და თურქეთში სადაც გაეცვნენ სწავლების მეთოდებს, უახლეს ტექნოლოგიებს, სიახლეებს დარგში. მათ მიღებული ცოდნა გაზიარებული იქნა როგორც პროფესიულ სტუდენტებისთვის, ასევე კოლეგებსა და დაინტერესებულ პირებისთვის.

შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია: პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებსა და დარგისთვის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან. შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

✔ სასწავლო მეთოდები ითვალისწინებს ინოვაციურ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

✔ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესს.

✔ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და არსებული ინვენტარის, აღჭურვილობის, მასალისა და ნედლეულის ინტეგრაცია პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ მათთვის საჭირო პრაქტიკული უნარები.

✔ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი ადასტურებს, რომ კოლეჯი ახორციელებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მობილობით გადმოსული, სტატუსშეჩერებული და სხვა). კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილს გავლილი აქვს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნილი ცენტრის ტრენინგი: „სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“, რასაც წარმატებით იყენებენ სწავლების პროცესში.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდევა 2 კომპანიასთან: შპს „თანა“ და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო. დარგის ექსპერტის მიერ კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ორივე კოპმანიას არაერთწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს კოლეჯთან და აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტთა პრაქტიკული სწავლების განხორციელებაში.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კერძოდ: კოლეჯში სწავლება ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, დამონტაჟებულია კამერები, ყავს უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, ხოლო საწავლო აუდიტორიებში გამოკრულია საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ უსფრთხოების ინსტრუქტაჟი სწავლის შედეგების შესაბამისად. კოლეჯში აგრეთვე მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარებია აღმოჩენის მექანიზმები. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 01 ოქტომბერი, №02/47 ბრძანებით კოლეჯში უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, სათანადოდ აღჭურვილი მედპუნქტი, მედიკამენტები და მედდის საშტატო ერთეული. კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით (ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი.) ხოლო გარე პერიმეტრზე, ეზოში. დამონტაჟებულია 4 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერა დასტურდება ადგილზე.

ჩართულ მხარეთა უკუკავშირი დადებითია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს. აუდიტორიაში გამოკრულია კომპიუტერებთან მუშაობის წესები. დამატებით უსაფრთხოების დაცვას ეს პროგრამა არ ითვალისწინებს და არ საჭიროებს.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2020 წლის 01 ოქტომბერი, №02/47 ბრძანებით;

ვიზუალური დათვალიერებით;

გასაუბრებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულება პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის საკითხებს არეგულირებს შიდა მარეგულირებელი აქტების - „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ (დამტკიცებული N02/15, 22.04.2020 ბრძანებით), „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“(დამტკიცებული N02/11, 22.03.2022 ბრძანებით) და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(დამტკიცებული N02/57, 05.06.2025 ბრძანებით). დაწესებულების მარეგულირებელ აქტებში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების კრიტერიუმები, პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული შიდა პროცესები, განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა, შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, შეფასების ინსტრუმენტების შენახვის წესი, შეფასების ინსტრუმენტების შიდა ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცედურები, თუმცა წესებში არეულია ვერიფიკაციისა და ვალიდაციის ტერმინები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

„პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მიხედვით ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის პროცესის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება (დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ან ჯგუფის შეხვედრის ოქმი, ან ელ. მიმოწერა ან სხვა) ვერ წარმოადგინა. პროფესიულ მასწავლებლებმა და სასწავლო პროცესის მენეჯერმა გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფს დაუდასტურეს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის ფაქტობრივად განხორციელება, თუმცა აღნიშნულის შესახებ არ არსებობს არანაირი მატერიალური მტკიცებულება.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზი, შესრულების ვადები, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს სამთვიანი პერიოდი. აღნიშნულ პერიოდში დაწესებულება გეგმავს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესაბამისად აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების და აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრას. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვით უზრუნველყოს ვალიდაციის პროცესისა და შესაბამისი შიდა რეგულაციების სრულყოფა.

ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება “.

ინდიკატორი 2.4.2.1 მეტწილად შეესაბამება.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ვერიფიკაციის მექანიზმები გაწერილია კოლეჯ „თეთნულდის“ სასწავლო პროცესის მართვის წესში, „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში“, „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“.სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილი ვერიფიკაციის პროცედურა შინაარსობრივად შეესაბამება ვალიდაციის პროცედურებს. „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქციით“ განსაზღვრულია შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები. რეგულაციის მიხედვით, შიდა ვერიფიკაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ვერიფიკაციისთვის შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი და ვერიფიკაციაში ჩართული პირები, ვერიფიკაციის პროცედურები (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ).

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შიდა ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნა, ხარისხის მენეჯერის 25.12.2024 წ. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები არ არის დათარიღებული და ხელმოწერილი. ასევე, არ არსებობს აღნიშნული დოკუმენტების ელექტრონული ან მატერიალური ფორმით ან ეფლოუს საშუალებით დაინტერესებულ მხარესთან წარდგენის მტკიცებულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა წარმოდგენილი დოკუმენტების ვალიდურობაში. ვერიფიკაციის დასკვნები ძირითადად დადებითადაა შეფასებული და ხარისხის მენეჯერის განცხადებით, სამოქმედო გეგმების შექმნის საჭიროება არ დამდგარა.

დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული რისკების სისტემა და ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება ვერიფიკაციისთვის ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის გადაწყვეტილებით, თუ რომელ პროგრამას მიიჩნევს მაღალი რისკის მატარებლად.

ვერიფიკაციის სისტემა არ არის ცხადი და გამჭვირვალე. ვერც შესაბამისი შიდა მარეგულირებელი აქტებით და ვერც პროცესების შესწავლით, ვერ დადგინდა ვერიფიკაციის პროცესის მიმდინარეობა.

ასევე, შიდა მარეგულირებელ აქტებში შინაარსობრივად და ტერმინოლოგიურად შეუსაბამოა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის შესახებ ჩანაწერები.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმაში გაწერილია გამოვლენილი ხარვეზი, შესრულების ვადები, შემსრულებელი და პასუხისმგებელი პირები, შესრულებისთვის საჭირო რესურსები და ა.შ. გეგმის მიხედვით, დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული აქვს სამთვიანი პერიოდი. აღნიშნულ პერიოდში დაწესებულება გეგმავს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესაბამისად აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების და აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრას. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვით უზრუნველყოს ვერიფიკაციის პროცესისა და შესაბამისი შიდა რეგულაციების სრულყოფა.

ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება “.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.4.2.2 მეტწილად შეესაბამება.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ:

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია დირექტორის შესაბამისი აქტის საფუძველზე 2020 წლის 13 ივლისი №02/28 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში. პროფესიული პროგრამის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების, პირადი საქმეებისა და შეფასების უწყისების მიღება ჩაბარების აქტით გადაცემაზე. ეს დოკუმენტები გადაეცემა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს, რათა მათი სათანადო აღრიცხვა და შენახვა განხორციელდეს. დოკუმენტების შენახვა და მართვა ხორციელდება საქმისწარმოების წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობას, უსაფრთხოებას და ადვილად ხელმისაწვდომობას. რეგულაციის და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ: კოლეჯი წარმატებით იყენებს განსაზღვრულ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის.

შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალი მიდგომებს და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას. შუალედური გამოცდების შემდეგ, სტუდენტებსა მიეცემათ რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პროგრესს და უზრუნველყოფს შესაბამისი დახმარების აღმოჩენას საჭირო მიმართულებით. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ შეფასების მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, არამედ ასახავს მომავალი განვითარების გზას. შეფასების შედეგების საფუძველზე ინიცირებული ცვლილებები და რეკომენდაციები ეხმარება განვითრებაში როგორც სტუდენტებს, ასევე სასწავლო პროცესს მთლიანობაში.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

• ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის 2022 წლის 22 მარტის №02/11 ბრძანებით პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“დირექტორის 2020 წლის 13 ივლისი №02/28 ბრძანებით

• ვერიფიკაციის დოკუმენტაცია

• გასაუბრებით;

• ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *„პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ (დამტკიცებული N02/15, 22.04.2020 ბრძანებით),*
- *„ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“(დამტკიცებული N02/11, 22.03.2022 ბრძანებით)*
- *„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(დამტკიცებული N02/57, 05.06.2025 ბრძანებით).*
- *ვერიფიკაციის გეგმა, დასკვნები.*
- *შეფასების მტკიცებულებები და უწყისები;*
- *ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის სახელწოდება	*კულინარიის ხელოვნება*
პროფესიული განათლების დონე	*მესამე*
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 ბრძანებით*
პროგრამის განხორციელების ენა	*ქართული*
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	*მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25*
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	*რეალური სამუშაო გარემო*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	*კოოპერაციული*
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	*30*
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*99*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*129*

I.ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესით“, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.კოლეჯის მისია არის მრავალპროფილური და იძლევა შესაძლებლობას დაწესებულებამ მოამზადოს კულინარიის ხელოვნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სპეციალისტები. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“ შეესაბამება დაწესებულების მისიას. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისია დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2.1.1.2 საგანმანალებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „კულინარიი ხელოვნება“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი საგანმანათლებლო სტანდარტით - სასტუმრო, რესტორანი და კვება/Hotel, Restaurants and Catering განსაზღვრულ მოთხოვნებთა.

კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის N02/57 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N02/10 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუანრიანობას, პერსონალის რაოდენობას. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“ მესტიაში, ერეკლე ფარჯიანის ქ. № 25-ში 30 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „კულინარიის ხელოვნება“ განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა საგანმანათლებლო სტანდარტით - სასტუმრო, რესტორანი და კვება/Hotel, Restaurants and Catering კულინარიის ხელოვნების მიმართულებით განსაზღვრულ შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კულინარიის ხელოვნებას“ მოცულობაა 80 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 7, ხოლო პროფესიული მოდულების საერთო მოცულობაა - 73 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევითი მოდულებს.

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 08 ივლისის №02/36 ბრძანებით დამტკიცებული “სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია ზემოაღნიშნულის წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება „კულუნარიის ხელოვნება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს. სრულად შეესაბამება პროგრამით მისაღწევ შედეგს. თანხვედრაშია კულინარიის ხელოვნების საგანმანათლებლოს სტანდარტთან - სასტუმრო, რესტორანი და კვება/Hotel, Restaurants and Catering და არ არის შეცდომაში შემყვანი

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის - „კულინარიის ხელოვნება“ ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. პროგრამა ითვალისწინებს მოდულის - ქართული ენა A2 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის N02/57 ბრძნებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამატების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესით“;

2. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის N02/57 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

3. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N02/10 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“;

5. კოლეჯის მისია, სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა;

6. კოლეჯის ვებგვერდი - https://tetnuldi.edu.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“ ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე მესტია, ე. ფანჯიანის ქ. N25-ში.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.დაწესებულების ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C გარემოებები, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რესურსით, მათ შორის: დაწესებულებას აღჭურვილი აქვს ერთი იმიტირებული სამზარეულო, სადაც განთავსებულია გაზგურები, ელექტროქურები, კონვექციული ღუმელი და სხვა როგორც მსხვილი ტექნიკა, ისე საჭირო ინვენტარი 15 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად სწავლებისთვის, ორ ცვალში სწავლების შემთხვევაში სამზარეულოს დატვირთვა უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის შეუფერხებელ სწავლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „კულინარიის ხელოვნება“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში „კულინარიის ხელოვნება“ პროგრამისთვის მოიაზრება 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისია პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს დარგის სპეციალისტების რაოდენობის გაზრდაზე რათა სწავლის შედეგი უფრო მდგრადი და მრავალფეროვანი იყოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისია პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია,რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს დარგის სპეციალისტების რაოდენობის გაზრდაზე რათა სწავლის შედეგი უფრო მდგრადი და მრავალფეროვანი იყოს.

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - „კულინარის ხელოვნება“ ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი , რომელსაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე კულინარიის სფეროში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - „კულინარიის ხელოვნება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, თუმცა ასეთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მისთვის საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„კულინარიის ხელოვნება“ განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულებამ მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყო სასწავლო პროცესი, ამიტომ ჯერ შუალედური ან დაზუსტებული ბიუჯეტი არ შემუშავებულა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - რესტორანი „ქუშლუ ქორი“

2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;

4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;

5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;

6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 22აპრილის №02/15 ბრძანებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“,

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს. შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3.1.2 ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად..

სსიპ კოლეჯს „თეთნულდი“ შემუშავებული აქვს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს განვითარების არსებული ეტაპების დადგენას და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას.დაწესებულებაში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 2025წლის 17 თებერვლის ბრძანება N02/10 დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“;

2. დაწესებულების დირექტორის 2025წლის 17 თებერვლის ბრძანება N02/10 დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“ და მისი დანართები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;

5. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "კულინარიის ხელოვნება" ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის კოორდინატორები, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კულინარიის ხელოვნებია" სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის წარმომადგენელს, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან პრაქტიკულ სწავლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისია პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და კოორდინატორები პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭირობის შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კულინარიის ხელოვნება " ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისიამ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

აღწერა: დაწესებულების დირექტორის დირექტორის 2020 წლის 22აპრილის №02/15 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.1.5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს:

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამას სასწავლო ტერიტორიაზე დაცული აქვს შრომის უსაფრთხოების საკითხები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება - რესტორანი ქუშლუ ქორი“;

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“;

13. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;

14. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;

15. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;

16. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

17. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ **არ შეესაბამება**

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციისა/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესები გაწერილია კოლეჯ „თეთნულდის“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში. შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება და ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3(სამი) წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად. *ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების შენახვა, რაც სრულად შესაბამისია კოლეჯის რეგულაციის მოთხოვნებთან.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულება სტუდენტთა შეფასებებს იყენებს მათი შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიულ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლები მუდმივად ახორციელებენ უკუკავშირს შეფასების შედეგების შესაბამისად და იყენებენ მას სტუდენტთა შემდგომი განვითარებისთვის. მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციებიც.

ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ (დამტკიცებული N02/15, 22.04.2020 ბრძანებით),
- „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“(დამტკიცებული N02/11, 22.03.2022 ბრძანებით)
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(დამტკიცებული N02/57, 05.06.2025 ბრძანებით).
- ვერიფიკაციის გეგმა, დასკვნები.
- შეფასების მტკიცებულებები და უწყისები;
- ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

· *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

· *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	*სასტუმროს მომსახურება*
პროფესიული განათლების დონე	*მეოთხე*
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	*საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	*1013*
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი" დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 ბრძანებით*
პროგრამის განხორციელების ენა	*ქართული*
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	*მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25*
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	*რეალური სამუშაო გარემო*
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	*კოოპერაციული*
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	*30*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	*-*
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*-*
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*74*
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*-*
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	*104*

III. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძვნება სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას და შესაბამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. სხვადასხვა კვლევებზე და რეგიონის სპეციფიკაზე დაყრდნობით, დაწესებულებას დასაბუთებული აქვს პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა. დაწესებულება წარმოადგენს მრავალპროფილიან საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც აქვს პროგრამების ფართო სპექტრი. შესაბამისად, „სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.1.2 საგანმანალებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

,,სასტუმროს მომსახურება“ პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება. მოცემული წინაპირობა შეესაბამება პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია აღნიშნული პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა დაწესებულებას გაწერილი აქვს სასწავლო პროცესის მრეგულირებელ წესში და ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. აღნიშნული წესი შესაბამისობაშია მოქმედ ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებასთან.“

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისია

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ვალიდურია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისია

2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით ,,სასტუმროს მომსახურება“ გათვალისწინებული რესურსი და ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი რელევანტურია, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ ჩამონათვალთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისია

2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევით მოდულს – პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება“, რაც სრულად პასუხობს მოთხოვნებს. მოდული პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას რეალურ ან სიმულირებულ გარემოში, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს პროფესიული ამოცანა, რაც ხელს უწყობს მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენებას. ამასთან, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა შეაფასოს საკუთარი საქმიანობა და წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანალიზი, რაც მნიშნელოვანია როგორც პროფესიული კომპეტენციების, ისე პიროვნული განვითარებისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასტუმროს მომსახურების სფეროში, სადაც პრაქტიკული კომპეტენციების შეჯერება და კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტა წარმოადგენს კვალიფიციური მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს.

არჩევითი მოდული „პრაქტიკული პროექტი – სასტუმრო მომსახურება“, სრულად შეესაბამება პროგრამის პროფილსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მოდული ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებას რეალურ ან სიმულირებულ სამუშაო გარემოში, ავითარებს სტუდენტში ინიციატივას, დამოუკიდებლობას და ანგარიშგების უნარს. არჩევითი მოდულის შინაარსი და მიზნები მჭიდროდ უკავშირდება მომავალი დასაქმების მოთხოვნებს და აძლიერებს პროფესიული მზაობის ხარისხს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისია

2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2025 წლის 25 თებერვლის № 02/15 დირექტორის ბრძანებით

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისია

2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; პსდ-ს მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სასტუმროს მომსახურება“ თანხვედრაშია ,,სასტუმროს მომსახურება” ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებასა და კვალიფიკაციასთან - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში; Secondary Vocational Qualification in Hotel Service, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

„სასტუმროს მომსახურება“ პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „სასტუმროს მომსახურება“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სწავლების მეთოდოლოგია. წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ, პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების განაწილება კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის. კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 74 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა: 55 კვირა სასწავლო კვირა. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს - ჯამური 9 კრედიტის მოცულობით, 13 პროფესიულ და 1 არჩევით მოდულს ჯამური 65 კრედიტის მოცულობით. არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 104 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობაა 75 სასწავლო კვირა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ დოკუმენტაციაში (პსდ-ს თვითშეფასება) იდენტიფიცირდა შეუსაბამობები, ვიზიტის პერიოდში კოლეჯმა წარმოადგინა შეცვლილი პროგრამა რომელიც უკვე შესაბამისობაში იყო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მაგრამ მაინც აღინიშნება ტექნიკური შეცდომები. პროგრამის ნაწილში აღინიშნება ტექნიკური და სტილისტური შეცდომები, კერძოდ ა) ,,პუნქტი 12.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის ჩანაწერი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით“ შეიცვალოს ჩანაწერით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით“ ან/და პროგრამაში პუნქტები დალაგდეს ნუმერაციის მიხედვით. ბ) ,,პუნქტი 12.4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები - პროფესიის სტანდარტი - სასტუმრო საქმის სპეციალისტი” შეიცვალოს ჩანაწერით ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - სასტუმროს მომსახურება“. დაწესებულების მიერ დამტკიცებული ზოგიერთი მოდულის (სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა; სასტუმროს გაყიდვებისა და მარტივი მარკეტინგული საქმიანობის უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი საფუძვლები; სტუმარმასპინძლობის შესავალი და სხვა) დანართები არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სრულად ადაპტირებული, კერძოდ: რიგ მოდულებში დამხმარე ჩანაწერების ნაწილში გვხვდება ადაპტირების მიუხედავად ზოგადი ჩანაწერი როგორიცაა პროფესიული სტუდენტი / მსმენელი; მიზანშეწონილია; რეკომენდირებულია; სასურველია; აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცათ რეკომენდაცია, მოდულების ადაპტაციის ერთიან მიდგომასთან დაკავშირებით.სასწავლო გეგმა - მოდულის ,,ინფორმაციული წიგნიერება" დამოუკიდებელი საათების რაოდენობა არ არის თანხვედრაში იმავე სასწავლო გეგმასთან და შესაბამისად პროგრამაში დამტკიცებულ მოდულთან, სადაც დამოუკიდებელი საათების ჯამური რაოდენობა არის 5, ხოლო კვირეული საათობრივი განაწილების მიხედვით არის 4 საათი. მოდულის ,,სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა" საკონტაქტო საათების რაოდენობა არ ემთხვევა შესაბამისი მოდულით განსაზღვრულ საკონტაქტო საათების რაოდენობას. 108 საათის ნაცვლად უნდა განისაზღვროს 109 საათი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 არ არის შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმროს მომსახურება"**

2. **სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდის"სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" დირექტორის 2025 წლის 24 მარტის N02/35 ბრძანება;**

3. **კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 ივნისის N02/56 ბრძანება ,,ზოგიერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 31 იანვრის N02/05 და 2025 წლის 25 თებერვლის N02/15 ბრძანებებში ცვლილებების შეტანის შესახებ";**

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამის დამატების მიზნით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „სასტუმროს მომსახურება“ პროგრამაზე მოთხოვნილი კვოტის განსაზღვრის დოკუმენტი 30 პროფესიულ სტუდენტზე, ორ მიღებაზე 15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფი, რომლის მიხედვითაც კოლეჯს გამოყოფილი აქვს 15 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვილი ორი ოთახი, ერთი B გარემო და ერთი A გარემო. სსიპ კოლეჯ „თეთნულდს“ საკუთრებაში აქვს კომპიუტერული ტექნიკა 15 პროფესიული სტუდენტისათვის და ერთი სამუშაო პედაგოგისათვის და A სასწავლო გარემოსათვის დამახასიათებელი საჭირო აღჭურვილობა 15 პროფესიული სტუდენტისათვის გათვლილი სამუშაო მაგიდა და სკამი, სამუშაო კომპიუტერი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, პროექტორი ორივე სასწავლო აუდიტორიაში.

„სასტუმროს მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სულ 2 აუდიტორია: 1) B გარემოს ტიპის აუდიტორია, რომელშიც განთავსებულია 15 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, 2) A გარემოს ტიპის აუდიტორია, რომელშიც არის 15 მაგიდა, სკამი და 1 ცალი კომპიუტერი მასწავლებლისთვის, პროექტორი, რაც შეეხება C სასწავლო გარემოს კოლეჯს პრაქტიკული ნაწილი გატანილი აქვს პრაქტიკის ობიექტზე.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასტუმრო ,,სვანეთთან” სადაც გატანილია და მიიღწევა მოდულის ცალკეული შედეგები: ,,სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა“ (სწავლის შედეგები: N3. მიმდინარე სამუშაოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ორგანიზება - 24 საათი; N4. მიმდინარე სამუშაოების კონტროლი -24 საათი); ,,სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა" (სწავლის შედეგები: N2. დაჯავშნის მომსახურების უზრუნველყოფა - 49 საათი; N3. სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა- 36 საათი; N4. სტუმართან ანგარიშსწორების და გაწერის პროცედურების უზრუნველყოფა - 36 საათი; N5. ცვლის გადაბარების შესრულების უზრუნველყოფა - 36 საათი; N6. ღამის აუდიტის პროცედურების უზრუნველყოფა - 36 საათი), ,, სასტუმროს დასუფთავების მომსახურებების უზრუნველყოფა" (სწავლის შედეგები: N2. სასტუმროს ნომრებისა და საზოგადოებრივი არეალის სისუფთავის უზრუნველყოფა - 36 საათი; N3. დასუფთავების განყოფილების დამატებითი მომსახურებების უზრუნველყოფა - 23 საათი; N4. "linen" განყოფილების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა - 14 საათი; N5. უსაფრთხოების ზომების კონტროლის უზრუნველყოფა - 24 საათი), ,,სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა" (სწავლის შედეგები: N2. კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა - 23 საათი; N3. კვებისა და სასმელების დეპარტამენტის დამატებით მომსახურებების უზრუნველყოფა - 12 საათი; N4. სალაროსა და დღის დახურვა - 11 საათი; N5. კვების ობიექტი დასუფთავების უზრუნველყოფა- 24 საათი), ,,სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა" (სწავლის შედეგები: N2. უსაფრთხოების სისტემის ორგანიზებისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა - 24 საათი; N3. სტუმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - 12 საათი; N4. ტიპურ საეჭვო სიტუაციებში მოქმედება - 12 საათი; N5. საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ორგანიზება- 12 საათი), ,,პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება" (სწავლის შედეგები: N1. პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად დაგეგმვა - 15 საათი; N2. პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება. - 12 საათი; N3. შესრულებული ამოცანების ანგარიშგება - 11 საათი). ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი პრაქტიკის ობიექტის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, მოდული და მისაღწევი შედეგები. გასაუბრებისას სასტუმროს დირექტორი აცხადებს მზაობას სწავლებისთვის მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში, ერთ ცვლაში არაუმეტეს 15 სტუდენტისა. ხელშეკრულებაში ასევე არ არის მითითებული შესაბამისი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის არსებობაც ასევე უნდა უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტმა განსახორციელებელი მოდულის ფარგლებში. პრაქტიკის ობიექტზე მოდულის განმახორციელებელი არის სასტუმროს დირექტორი.

დარგობრივი მოდულების ფარგლებში ჩატარებული შერჩევითი გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ კოლეჯს აქვს სრულყოფილად თეორიული მასალებისათვის შესაბამისი ბეჭდური ან ელექტრონული სახის სასწავლო ლიტერატურა, ასევე პრაქტიკის ობიექტზე დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა მატერიალური რესურსის ფიზიკურად არ არსებობა, კერძოდ: კოლეჯ „თეთნულდის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმროს მომსახურება" მოიცავს მოდულების სწავლების შედეგებისთვის შესაბამისი რესურსების გამოყენებას, რაც არსებითია პროგრამის წარმატებული განხორციელებისთვის. თუმცა, შეფასების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომლებიც სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სრულფასოვან მიღწევაში დაეხმარება: საგანმანათლებლო რესურსი: დარგობრივი მოდულების ფარგლებში ჩატარებული შერჩევითი გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ კოლეჯს არ აქვს სრულყოფილად თეორიული მასალებისათვის შესაბამისი ბეჭდური ან ელექტრონული სახის სასწავლო ლიტერატურა (მოდულში: სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა - ,,სასტუმროს სფეროს პრაქტიკული გზამკვლევი GIZ 2016; მოდული პრობლემური სიტუაციების მართვა - ,,საქმიანი ურთიერთობების კულტურა“ ხიზანიშვილი, ყულიჯანაშვილი, წიქარაძე; მოდულებში: ,,სასტუმროს გაყიდვებისა და მარტივი მარკეტინგული საქმიაობის უზრუნველყოფა“, შესყიდვებისა და მარაგების კონტროლი“, ,,სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, ,, სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“, ,, სასტუმროს დასუფთავების მომსახურებების უზრუნველყოფა“ - მ. ვასაძე - სასტუმროს მენეჯმენტი - 2009 წ, მოდულებში: სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა და პრობლემური სიტუაციების მართვა“ - ჭავჭანიძე დ. „სტუმრის მიღება - განთავსება სასტუმროში და დაჯავშნის სამსახური“ , თბილისი, 2011). პრაქტიკის ობიექტის აღჭურვილობა: პროფესიული მოდულის ,,სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა“ ფარგლებში დაწესებულებას და პრაქტიკის ობიექტს არ აქვს დანერგილი სასტუმროს მართვის პროგრამული უზრუნველყოფა (მაგ. Opera, Fidelio ან სხვა), რაც აფერხებს რეალური სწავლების პროცესს. პროგრამული უზრუნველყოფა სასტუმროს მომსახურების სტანდარტის აუცილებელი კომპონენტია. ამ ტიპის პროგრამები წარმოადგენს სასტუმროს ოპერაციების ციფრულ მენეჯმენტს და მათ გარეშე შეუძლებელია სტუდენტებმა შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება რეალურ სამუშაო გარემოში. კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს შესყიდვისა და ხელშეკრულების გაფორმების მზაობა შესაბამის ორგანიზაციებთან, მაგრამ რეალურად ეს არ განხორციელებულა, მათ შორის არ წარმოუდგენიათ „უზრუნველყოფის გეგმა“.

იკვეთება პროგრამის რეალიზებისთვის აუცილებელი აღჭურვილობის დეფიციტი. მაგალითად, მოდულის ,,სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ განხორციელებისათვის აუცილებელია ,,ურიკა უჟანგავი და ურიკა დასაკეცი/ნომერში მომსახურებისთვის, მოდულის ,,სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა“ განხორციელებისათვის აუცილებელია ,,მებარგულის ურიკა“, მოდულის ,, სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ განხორციელებბისათვის აუცილებელია ,,დიასახლისის ურიკა“.

„ურიკა უჟანგავი“ და „დასაკეცი ურიკა ნომერში მომსახურებისთვის“ - ამ მოწყობილობების საშუალებით სტუდენტი სწავლობს სტუმრისთვის უსაფრთხო და ჰიგიენური კვების მიწოდებას, რაც სასტუმრო ინდუსტრიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტანდარტია. უჟანგავი ურიკა უზრუნველყოფს საკვების სისუფთავესა და ხარისხს, ხოლო დასაკეცი ურიკა ეფექტურ მომსახურებას ნომერში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

,,მებარგულის ურიკა" - მებარგულის მომსახურება ქმნის სტუმრისთვის პირველ შთაბეჭდილებას. სწორი პრაქტიკის გარეშე სტუდენტი ვერ იძენს გადატანის, ტრანსპორტირების და კომუნიკაციის უნარებს, რაც აუცილებელია ,,მებარგულის მომსახურების" განხორციელებისთვის.

,,დიასახლისის ურიკა" - ეს მოწყობილობა წარმოადგენს აუცილებელ სამუშაო ხელსაწყოს დიასახლისებისთვის ოთახების სისუფთავის, სტანდარტული ინვენტარით აღჭურვისა და სანიტარული მოთხოვნების შესასრულებლად. რეალური სიმულაციის გარეშე, პროფესიული სტუდენტი ვერ აღიქვამს მომსახურების ტემპს, სტანდარტებსა და ეფექტურობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმროს მომსახურება" გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ვერ იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 არ არის შესაბამისი

2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,სასტუმრო მომსახურება" განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ მოდულებზე განსაზღვრულია 2-2 მასწავლებელი. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა გაწერილია პროფესიული მასწავლებლის ხელშეკრულებაში. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობაზე ასახულია პროგრამის შესაბამის დანართებში ადამიანური რესურსის შესახებ და ასახულია მასწავლებლის ხელშეკრელებაში. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიციურობა იმის მიხედვით, პროგრამის რომელ კომპონენტს ახორციელებს, დასტურდება მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისია

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

დაწესებულებას პროგრამის N21 დანართის მიხედვით დამტკიცებული აქვს „პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი“. აღნიშნული დანართის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი. განმახორციელებლების დატვირთვა სასწავლო გეგმის მიხედვით არ ცდება 40 საკონტაქტო საათს (დამოუკიდებელი საათების ჩათვლით). ,,სასტუმროს მომსახურების“განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები, აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისია

2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, გადაამოწმეს მისი პირადი საქმე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი მაღალკვალიფიციური კადრია, ჩართული იყო პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამას ყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისია

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში ,,სასტუმრო მომსახურება“ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებ გვერდზე (tetnuldi.edu.ge) ელექტორნული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით ასევე დამუშავებულია საბიბლოთეკო წიგნში ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებში გატარებულია ბიბლოოთეკის საინვენტარო წიგნასი. გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისია

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლოგარემოს შექმნის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს აქვთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან,რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ადაპტირდება სსსმ პირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებით ინკლუზიური განათლების სპეციალისტისასისტენტის და სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებითშედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისია

2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,სასტუმრო მომსახურება“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯებისგან.

დაწესებულების მიერ შედგენილ ბიუჯეტში მოცემული ხარჯის ტიპი - ,,შრომის ანაზღაურება” და ,,სასწავლო მასალები” არის ზოგადი და არ იძლევა კონკრეტული ინფორმაციას, რას მოიაზრებს და მოიცავს იგი. საპროგნოზო ბიუჯეტის ხარჯში არ არის გაწერილი ისეთი მნიშნელოვნი კომპონენტები როგორიცაა: პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურება, მალასა - ნედლეულის ხარჯი, პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონიძიებების ადმინისტრირება და ა.შ.

პსდ ფინანსური რესურსით ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:

ა) დასაზუსტებელია რენტაბელობის ზღვარი - საპროგნოზო ბიუჯეტში არის ჩანაწერი 1632;

ბ) სწავლის საფასური არ არის შესაბამისობაში ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებასთან. ბიუჯეტის მიხედვით სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საფასური შეადგენს 4487.00 ლარს, მთავრობის დადგენილების მიხედვით კი სწავლის საფასური შეადგენს 4448 ლარს, რომელიც მრავლდება 1,25 კოეფიციენტზე და ვაუჩერული დაფინანსება 1 სტუდენტზე არის 5560 ლარი.

გ) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არასწორად არის დათვლილი ,,ხარჯების ნაწილი“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 არ არის შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასტუმროს მომსახურება“.**
2. **პროგრამის ბიუჯეტი**

შეფასება:

☐ **შეესაბამება**

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯს პროგრამის შეფასებისთვის შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც ახორციელებს მონიტორინგს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობაზე, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სახავს მისი გაუმჯობესების გზებს. ეს მექანიზმი გაწერილია ხარისხის კონცეფციაში,ხარისხის ციკლის (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე) მიხედვით, კოლეჯი ამ მიზნით ასევე იყენებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან,დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტებისგან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან შესაბამისი კითხვარების საშუალებით, ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებს. მასწავლებლები მოდულში განსახორციელებელ ცვლილებებს ასახავენ კალენდარულ გეგმებში,პროგრამების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი მონაცემები, როგორიცაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის

მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობისმინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის მსტატისტიკის ანალიზი. პროგრამის შეფასებისთვის..კოლეჯი ნერგავს შუალედური შეფასების პროცედურას,რომელიც გაწერილია დირექტორის 2022 წლის 11/11 No02/54 ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის მარეგულირებელ წესში

2.კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს უკუკავშირით მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის შეფასებისთვის ასევე მნიშვნელოვანი ინდიკატორებია პროგრამაზე რეგისტრირებულთა, ჩარიცხულთა მაჩვენებლები, შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები,კურსდამთავრებულთა რაოდენობის, ასევე დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასახულია პროგრამის შეფასების ფორმაში.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად ,საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა.სასწავლო გეგმაში, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით,დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებებისთვის. პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ კალენდარულ გეგმაში ასახული უკუკავშირის საფუძველზე გადაიხედება არსებული სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში,გაუმჯობესების მიზნით ცვლილების შეტანა პროგრამაში ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით.„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N 416 დადგენილების შესაბამისად, დაწესებულებამ განახორციელა ცვლილება პროგრამაში შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდებთან მიმართებით დ აასახ ასასწავლო გეგმაში ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია .

2.კოლეჯი სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, პროფესიული სტუდენტების გარკვეული რაოდენობა ცხოვრობს კოლეჯიდან დაშორებით რისთვისაც კოლეჯი ითვალისწინებს საერთო საცხოვრებლის დაქირავებას.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია მასწავლებლის კომპეტენცია.პროფესიული განათლების მასწავლებელი პერიოდულად ეცნობა და საკუთარ საქმიანობაში ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს. პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგი მათ შორის ,,სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში დ პროფესიულ სტუდენტების მიღწევების შეფასება“. კოლეჯი უზრუნველყოფს ტრენინგებს როგორც არსებული, ასევე ახლადშემოსული ადამიანური რესურსისთვის, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, დარგის ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს. ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორ კოლეჯებთან ერთად სამუშაო შეხვედრები სწავლება-შეფასების მიდგომებში. მასწავლებლები უკუკავშირს სასწავლო პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებით ასახავენ კალენდარულ გეგმებში, რაც შემდგომ პროგრამაში ცვლილების შეტანის და უკეთ განხორციელების საფუძველია. სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით,კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან. პროგრამის განმახორციელებელი ორი პროფესიული მასწავლებელი იმყოფებოდა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით ლიტვაში და თურქეთში სადაც გაეცვნენ სწავლების მეთოდებს, უახლეს ტექნოლოგიებს,სიახლეებს დარგში. მათ მიღებული ცოდნა გაუზიარეს როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე კოლეგებსა და დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისია

4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მობილობით გადმოსული, სტატუსშეჩერებული და სხვა)

.კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილს გავლილი აქვს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნილი ცენტრის ტრენინგი: „სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“, რასაც წარმატებით იყენებენ სწავლების პროცესში

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისია

2.4.1.5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასტუმრო ,,სვანეთთან” სადაც გატანილია და მიიღწევა მოდულის ცალკეული შედეგები: ,,სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა“ (სწავლის შედეგები: N3. მიმდინარე სამუშაოების ორგანიზება - 24 საათი; N4. მიმდინარე სამუშაოების კონტროლი -24 საათი); ,,სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა” (სწავლის შედეგები: N2. დაჯავშნის მომსახურების უზრუნველყოფა - 49 საათი; N3. სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უზრუნველყოფა- 36 საათი; N4. სტუმართან ანგარიშსწორების და გაწერის პროცედურების უზრუნველყოფა - 36 საათი; N5. ცვლის გადაბარების შესრულების უზრუნველყოფა - 36 საათი; N6. ღამის აუდიტის პროცედურების უზრუნველყოფა - 36 საათი), ,, სასტუმროს დასუფთავების მომსახურებების უზრუნველყოფა" (სწავლის შედეგები: N2. სასტუმროს ნომრებისა და საზოგადოებრივი არეალის სისუფთავის უზრუნველყოფა - 36 საათი; N3. დასუფთავების განყოფილების დამატებითი მომსახურებების უზრუნველყოფა - 23 საათი; N4. "linen" განყოფილების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა - 14 საათი; N5. უსაფრთხოების ზომების კონტროლის უზრუნველყოფა - 24 საათი), ,,სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა" (სწავლის შედეგები: N2. კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა - 23 საათი; N3. კვებისა და სასმელების დეპარტამენტის დამატებით მომსახურებების უზრუნველყოფა - 12 საათი; N4. სალაროსა და დღის დახურვა - 11 საათი; N5. კვების ობიექტი დასუფთავების უზრუნველყოფა- 24 საათი), ,,სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა" (სწავლის შედეგები: N2. უსაფრთხოების სისტემის ორგანიზებისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა - 24 საათი; N3. სტუმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა - 12 საათი; N4. ტიპურ საეჭვო სიტუაციებში მოქმედება - 12 საათი; N5. საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ორგანიზება- 12 საათი), ,,პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება" (სწავლის შედეგები: N1. პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად დაგეგმვა - 15 საათი; N2. პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება. - 12 საათი; N3. შესრულებული ამოცანების ანგარიშგება - 11 საათი). ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურებისათვის საჭირო კოორდინაციის საკითხები.

ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი პრაქტიკის ობიექტის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, მოდული და მისაღწევი შედეგები. გასაუბრებისას სასტუმროს დირექტორი აცხადებს მზაობას სწავლებისთვის მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში, ერთ ცვლაში არაუმეტეს 15 სტუდენტისა. ხელშეკრულებაში ასევე არ არის მითითებული შესაბამისი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის არსებობაც ასევე უნდა უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტმა განსახორციელებელი მოდულის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 არ არის შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "სასტუმრო მომსახურება" დარგობრივ კონტექსტში ყველანაირი სპეციფიკური შრომის უსაფრთხოების პირობები დაცულია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისია**

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულება პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის საკითხებს არეგულირებს შიდა მარეგულირებელი აქტების - „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ (დამტკიცებული N02/15, 22.04.2020 ბრძანებით), „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“(დამტკიცებული N02/11, 22.03.2022 ბრძანებით) და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(დამტკიცებული N02/57, 05.06.2025 ბრძანებით). დაწესებულების მარეგულირებელ აქტებში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების კრიტერიუმები, პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული შიდა პროცესები, განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა, შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, შეფასების ინსტრუმენტების შენახვის წესი, შეფასების ინსტრუმენეტების შიდა ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცედურები, თუმცა წესებში არეულია ვერიფიკაციისა და ვალიდაციის ტერმინები.

„პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მიხედვით ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის პროცესის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება (დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ან ჯგუფის შეხვედრის ოქმი, ან ელ. მიმოწერა ან სხვა) ვერ წარმოადგინა. პროფესიულ მასწავლებლებმა და სასწავლო პროცესის მენეჯერმა გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფს დაუდასტურეს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის ფაქტობრივად განხორციელება, თუმცა აღნიშნულის შესახებ არ არსებობს არანაირი მატერიალური მტკიცებულება.

